140
1967

**10**
**1967**

# პიონერი





საბჭოთა და უცხოელმა პიონერებმა სამუდამო მეგობრობა შეჰფიცეს ერთმანეთს და სამახსოვრო სურათიც გადაიღეს.

უმაღლესი მთისაკენ — რომან-კოშისაკენ გავემართეთ. დავიწყეთ ასვლა. მოგვწყურდა. ბიჭებმა ნაკადული მოძებნეს. ასეთი სასიამოვნო გემოს წყალი არასოდეს არ დამილევია. გზად შემოგვხვდნენ ძველი რევოლუციონერები, რომელთაც ამ ტყეებში უბრძოლიათ. ბევრი საინტერესო ეპიზოდი გვიამბეს თავიანთი ცხოვრებიდან. ერთ ადგილას, პარტიზანების ძეგლთან მიტინგი მოვაწყვეთ. მერე კი შევუტიეთ რომან-კოშს და ავიღეთ კიდეც. შინ დაღლილ-დაქანცულები, მაგრამ ძალზე ნასიამოვნები დავბრუნდით.

25 ივლისი. მოვაწყვეთ შეხვედრა ავსტრიელებთან. გავიცანი ორი გოგონა: ული და ქეთი. წავედით ტყეში და იქ კოცონი დავანთეთ. ვიცეკვეთ და ვიმღერეთ. შესანიშნავად მღეროდნენ და ცეკვავდნენ ავსტრიელები. ძლივს დავშორდით ერთმანეთს.

26 ივლისი. შეღამებისას ჩატარდა მშვიდობის, მეგობრობისა და სოლიდარობისადმი მიძღვნილი მიტინგი. არაჩვეულებრივი სანახაობა იყო, როცა ბავშვები ხელში ჩირაღდნებით, მოედანზე შემოვიდნენ. ჩირაღდნები ერთად გამოხატავდნენ სიტყვას — „მშვიდობა". იყო ბევრი ტრანსპარანტი, პლაკატი... მიტინგის დასასრულს ცეცხლზე დაწვეს ფაშისტური ნიშანი და ფაშისტური ქუდი, მედვედ-გორადან შუშხუნებმა გაანათეს ცა.

27 ივლისი. ხელოვნების დღის აღსანიშნავად, გვქონდა დიდი კონცერტი. ჩვენმა რაზმმა წარმოადგინა პანტომიმა „დანკო". ძალზე ეფექტური იყო პანტომიმის ფინალი, როცა დანკომ მკერდი გაიპო, აბრიალებული გული ამოიღო და ჩირაღდანივით ზე აღმართა. შევასრულეთ სიმღერა „გრენადას" ინსცენირება.

28 ივლისი. დღეს არტეკის პიონერთა სასახლეში დავათვალიერეთ კოსმონავტიკის გამოფენა. განსაკუთრებით მომეწონა კოსმიურ ხომალდიდან უჰაერო სივრცეში ლეონოვის გამოსვლისა და ფრენის იმიტაცია.

— 29 ივლისი. აღვნიშნეთ ავსტრალიის დღე. აღვმართეთ ავსტრალიის ალამი. შორეულ თანატოლებს მივართვით საჩუქარი, სამახსოვრო ნიშნები. ავსტრალიელებმა კონცერტი გამართეს. დიდად კმაყოფილები დავრჩით ყველამ.

30 ივლისი. დღეს მოხდა სამეჯლისო ცეკვების კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება. ჩვენმა რაზმმა პირველი ადგილი დაიკავა და მედალიც დაიმსახურა. დაგვაჯილდოვეს ხელოვნების საპატიო ნიშნებით. შემდეგ მოეწყო კონკურსი სიმღერების ინსცენირებაში და აქაც პირველი ადგილი მოვიპოვეთ.

ლადო კოკაიამ, თბილისის 26-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ, მესაზღვრეების ნორჩ მეგობართა ბანაკში გაატარა დაუვიწყარი დღეები. იგი ხშირად გამოსულა ბანაკის ესტრადაზე და ჩინებულად უმღერია, რისთვისაც ჯილდოები დაუმსახურებია. ქართულ სიმღერებთან ერთად, იგი მღეროდა „არტეკელთა ფიცსაც".

— ამ სიმღერის მნიშვნელობას მაშინ მივხვდი, —ჰყვება ლადო, — როცა სევასტოპოლს ვეწვიეთ, ვნახეთ საპუნ-გორაზე აღმართული ობელისკი, რომელიც ქართველ მეომრებისათვის დაუდგამთ ინჟინერ-არქიტექტორ ალექსი გოგსაძის პროექტით. საპუნ-გორაზე გამართულ ბრძოლებში თავი უსახელებია აჭაპის 414-ე ქართულ დივიზიას.

... 470 პიონერი ჩამწკრივდა ობელისკის წინ, ორდენებით და მედლებით მკერდდამშვენებული გენერალი ჩვენს პირისპირ დადგა. ის ამბობდა, ჩვენ ვიმეორებდით:

„ჩვენ, სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის გმირულად მებრძოლ მამათა შვილები, ვდებთ ფიცს, რომ წმინდად დავიცავთ მათ ისტორიულ ტრადიციებს, გვეყვარება ჩვენი საბჭოთა მამული ისე, როგორც მათ უყვარდათ, ვიბრძოლებთ ისე, როგორც იბრძოდნენ ისინი, და, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლესაც არ დავიშურებთ სამშობლოსათვის."

თითქოს გვესმოდა ყირიმის მიწაში დამარხულ მეომართა სუნთქვა. მოჩანდა ლურჯად მოლივლივე ზღვა, თავს დაგვყურებდა ულრუბლო ზეცა, მოჩანდა ფერფლიდან წამომდგარი სევასტოპოლი. 250 დღე თავგანწირვით იცავდნენ გმირები ამ ქალაქს, იბრძოდნენ, კვდებოდნენ, რომ არტეკი ჩვენი ყოფილიყო.

„არტეკელთა ფიცი" მარტო სიმღერა როდია, იგი ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იქნება. არასოდეს დამავიწყდება საპუნ-გორაზე დადებული ფიცი.

* * *

ხუთ აგვისტოს არტეკის ბანაკის ანძიდან ნელ-ნელა დაეშვა პიონერთა III საკავშირო შეკრების ალამი. დამთავრდა დიდი პიონერული მეგობრობის ზაფხული.

დაიწყო ახალი სასწავლო წელი — სწავლასა და შრომაში ახალ-ახალი წარმატებებისათვის, ბრძოლის წელი.

ს. ბეჩოეღი



არტეკის საპატიო დიპლომი და მედალი.






10.329

მიო ლარცულიანი



მხატვარი ნანა მეაჯაია

# ზაჰესი – 1927, ენგურჰესი – 1970

ზვიად მთებს გამაყრუებელი გუგუნი ახმიანებს.

ფერდობზე ახალგაჭრილ გზატკეცილს მიუყვებიან უზარმაზარი ავტომანქანები, ბულდოზერები, თვითმცლელები...

მიწისქვეშ გვირაბგამყვანებს ექსკავატორი გაუმართავთ.

სიცოცხლე ჩქეფს ახალდასახლებებში: ჯვარზენში, მზიურში, ფოცხოში.

თვალის ერთი გადავლებით ახე გამოიყურება თანამედროვეობის ერთ-ერთი უნიკალური და უდიდესი ელექტროსადგურის — ენგურჰესის მშენებლობა.

სანამ ამ მშენებლობის შესახებ მოგითხრობდეთ, გავიხსენოთ ზოგი რამ ჩვენს რესპუბლიკაში ჰიდროენერგეტიკის განვითარების ისტორიიდან.

საქართველოში პირველი ელნათურა აინთო 1887 წლის დამლევს ქალაქ თბილისის ქართული თეატრის შენობაში. იგი ენერგიას იღებდა სათავადაზნაურო ბანკის ელექტროსადგურიდან, რომლის აგება დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული. მაგრამ ამ ნაგებობას მეფის თვითმპყრობელობისა და მენშევიკების ბატონობის ხანაში მხოლოდ რამდენიმე პატარა ელსადგური შეემატა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ჩვენი მდიდარი ჰიდროელექტრორესურსების ფართო გამოყენება. პირველი მერცხალი იყო ზაჰესი, რომელიც 40 წლის წინათ ამუშავდა. მის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1922 წლის 10 სექტემბერს. ამ მშენებლობისათვის რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ, ვ. ი. ლენინის განკარგულებით, 700 000 ოქროს მანეთი გამოყო. სამშენებლო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი ენერგეტიკოსი ბესარიონ ჭიჭინაძე.

მაშინ ტექნიკა დიდ დახმარებას ვერ უწევდა მშენებლებს. მათ განკარგულებაში იყო უცხოური მარკის პატარა ექსკავატორი, ცხენის ურიკებით ეზიდებოდნენ ქვიშასა და ხრეშს...

კაშხალიდან გენერატორამდე მხოლოდ 3,5-კილომეტრიანი არხის გაჭრა დასჭირდათ, მაგრამ სამუშაოები მაინც დაძაბულ შრომას მოითხოვდა.

1927 წლის 26 ივნისს ზაჰესი ოფიციალურად გაიხსნა. ქართველი ხალხის ზეიმს ყველა მოძმე რესპუბლიკის დელეგატები ესწრებოდნენ. აი, როგორ აღწერს ამ სანახაობას ერთ-ერთი დამსწრე: „ორკესტრი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ივ. ფალიაშვილის დირიჟორობით ასრულებდა „ინტერნაციონალს" და კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის მიერ ამ დღეებისათვის სპეციალურად დაწერილ კანტატას „დიდება ზაჰესს".

საბჭოთა კავშირში რიგით ამ მეორე ჰიდროელექტროსადგურს ვ. ი. ლენინის სახელი ეწოდა. საქართველოს პირველი ელექტროსადგურის სიმძლავრე 12.800 კილოვატი იყო. მეორე ხუთწლედის ბოლოს იგი სრული საპროექტო სიმძლავრით ამუშავდა. რიონჰესის აგების შემდეგ კი შეიქმნა 110 კილოვატი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი რიონჰესი-ზაჰესი. ეს უკვე ნიშნავდა ჩვენს რესპუბლიკაში ენერგოსისტემის შექმნას. ზაჰესმა დღემდე 7 მილიარდზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა. იგი ახლა ავტომატიზებული და ტელემექანიზებული სადგურია.

ზაჰესს მოჰყვა რიონჰესი, აჭჰესი, სოხუმჰესი, ჩითახევჰესი, გუმათჰესი, ხრამჰესი, ლაჯანურჰესი...

ჰიდროელექტროსადგურების გარდა აშენდა ტყვარჩელის, რუსთავის, ქუთაისისა და ბათუმის თბოელექტროცენტრალები, მწყობრში ჩადგა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური.

ჩვენი ელექტროსადგურების სიმძლავრე 1966 წლისათვის 1913 წელთან შედარებით, თითქმის 200-ჯერ გაიზარდა. ახლა ჩვენი რესპუბლიკა აწარმოებს მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგური.

საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების ენერგოსისტემები გაერთიანებული არიან ენერგოსისტემაში. მომავალში ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ენერგოსისტემები დაუკავშირდებიან სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიან ენერგოსისტემას.

მიმდინარე ხუთწლედში უფრო განმტკიცდება საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზა. 1970 წელს ჩვენი რესპუბლიკის ყველა ელექტროსადგური გამოიმუშავებს თითქმის ორჯერ მეტ ელექტროენერგიას 1965 წელთან შედარებით. ამოქმედდება ვარციხისა და ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების პირველი რიგი, 960 ათას კილოვატამდე გაიზრდება თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრე.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ მწყობრში ჩადგება ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგი. მისი თითოეული აგრეგატის სიმძლავრე ორი ელექტროსადგურის — ხრამჰესი I და ხრამჰესი II საერთო სიმძლავრეს აღემატება; ამ გიგანტური ჰესის საერთო საპროექტო სიმძლავრე 1640 ათას კილოვატს შეადგენს.

მდინარე ენგურის ენერგეტიკული გამოყენების საკითხი დიდი ხნის წინათ დაისვა, მაგრამ სერიოზული ყურადღება მას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიაქციეს. შემუშავდა რამდენიმე გეგმა. სიძნელეს იწვევდა დიდი წყალსაცავის აგების აუცილებლობა, ურომლისოდაც ვერ გადაწყდებოდა წყლის მარაგის პრობლემა. საბოლოოდ მიიღეს სქემა, რომელიც საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის „ჰიდროენერგოპროექტის" თბილისის განყოფილებაში დამუშავდა. ნაგებობის დაპროექტებაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის უდიდესი საგეგმო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ცნობილი ენერგეტიკოსები, ჰიდროტექნიკოსები, კონსტრუქტორები, გეოლოგები, გვირაბგამყვანები...



ენგურჰესი ამიერკავკასიის ქსელში ჩართული უდიდესი ელექტროსადგური იქნება — სიმძლავრით თითქმის 15-ჯერ გადააჭარბებს ლაჯანურჰესს. იმ ადგილას, სადაც ენგური თავს აღწევს სვანეთის მთების ტყვეობას და გამოივაკებს, აიგება მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი (სამასამდე მეტრი) თაღოვანი კაშხალი; შეიქმნება ხელოვნური წყალსაცავი, რომლის სიგრძე რამდენიმე ათეულ კილომეტრს მიაღწევს. ამ წყალსაცავში დაგროვდება გაზაფხულის წყალი, რომელიც ზამთრის თვეებში დაიხარჯება.

მშენებლობა მოიცავს 120 კმ სიგრძისა და 50 კმ სიგანის ტერიტორიას. უნდა შესრულდეს 30 მილიონ კუბმეტრამდე მიწისა და კლდის, 5 მილიონ კუბმეტრამდე რკინა-ბეტონის სამუშაოები. უზარმაზარი დიამეტრის მქონე გვირაბების სიგრძე 20 კილომეტრს აღწევს. 3250-მეტრიან გვირაბს მივყავართ მიწისქვეშა ჰიდროსადგურამდე. აქ დაიდგმება მაღალი წნევის ჰიდროაგრეგატები.

მეორე წყალსაცავი მდინარე ერისწყალზე მოეწყობა. აქვე აიგება 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგური. ამის შემდეგ წყალი გაივლის 20-კილომეტრიან სპეციალურ არხს. აქაც გამოიყენება წყლის დაქანება — აშენდება ჰიდროელექტროსადგურები.

უნიკალური ნაგებობა უნიკალურ მექანიზმებსაც მოითხოვს. ენგურჰესის მშენებლობა ტექნიკის უახლესი მიღწევებითაა აღჭურვილი. აქ 3 და 4,5-კუბიანი ექსკავატორების მთელი ლაშქარია; დაჰქრიან უზარმაზარი სატვირთო მანქანები, ინერტულ მასალას საჰაერო-საბაგირო გზით აწვდის 1.500 ტონიანი დრაგა № 1. რაც მთავარია, აქ საქმიანობენ გამოცდილი, ენერგიული ადამიანები. მშენებლობა გამოცხადებულია დამკვრელურ-კომკავშირულად.

აი, რას მოგვითხრობენ ამ სახელოვანი კოლექტივის, მისი მოწინავე ადამიანების შესახებ ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ, პარტიული კომიტეტის მდივანი ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲕᲘᲨᲘᲐᲜᲘ, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ᲒᲣᲠᲐᲛ ᲜᲐᲔᲣᲔᲑᲘᲐ:

— მშენებლები გაშლილი ფრონტით უტევენ. უკვე კარგა ხანია, ჭვართან კალაპოტი იცვალა ენგურმა და სპეციალური გვირაბით სხვა მიმართულება აიღო. ამით განთავისუფლდა ადგილი თაღოვანი კაშხალის ასაგებად და ახლა გაცხოველებით წარმოებს მოსამზადებელი სამუშაოები.

ამასთან ერთად, გაჰყავთ გვირაბები ჭვარსა და საბერიოში, აშენებენ დამხმარე ნაგებობებს.

18 ახალდასახლებაში მცხოვრებთა რიცხვი 25 000 აჭარბებს. საექსპლოატაციოდ გადაეცა 85 000 კვადრატიული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მრავალი სკოლა, საბავშვო ბაგა და ბაღი, სასადილო, ახალგაზრდული კაფე, უნივერმაღი, საავადმყოფო, ამბულატორია... ერთი სიტყვით, ენგურის ორივე სანაპიროზე მტკიცედ მკვიდრდება დიდი ცხოვრება.

აქ მოიყარეს თავი ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო ენერგეტიკოსებმა, მშენებლებმა, ინჟინრებმა, მუშებმა. მათ თავი გამოიჩინეს ლაჯანურჰესის, ხრამჰესის, შორეული ასუანის კაშხალისა და სხვა დიდი ობიექტის მშენებლობებზე.

სახელი გაითქვეს მშენებლებმა ავთანდილ კაკულიამ, ოთარ ბლიაძემ, ვარლამ ნემსიწვერიძემ, ზაურ ლაბარტყავამ, გიგლა ხუციძემ და მრავალმა სხვამ.

ვარდნილი ჰესის სამმართველოს შენობის წინ მოწინავეთა დაფაზე ძმების — ზარნაძეების სურათებიცაა გამოკრული, ზაური და ვახტანგი ენგურზე კომკავშირული საგზურით, თერჯოლის რაიონიდან ჩამოვიდნენ. ბიჭები მონდომებით საქმიანობენ. ზაური მესამე უბნის გვირაბგამყვანთა ბრიგადას ხელმძღვანელობს. ვახტანგიც ამავე ბრიგადის წევრია. მათი კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა სამმართველოში.

მშენებლობის დაწყების პირველსავე დღეს ეწვია ენგურჰესს მძღოლი ბ. ხეცურიანი, რომელიც ოცდაშვიდტონიან ავტომანქანას მართავს. ჩია ტანის ბიჭი დაუშრეტელი ენერგიითა ალსავსე, მისი „ბელაზი" სწრაფად დაჰქრის დაკლაკნილ გზებზე; მძღოლი ვალდებას ორმაგად ანაღდებს, წინათ იგი ლაჯანურჰესისა, და გუმათჰესის მშენებლობებზე საქმიანობდა.

კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელი ენგურჰესელებიდან პირველებმა მოიპოვეს ლენინის ორდენოსანი — ილია ასლამაზოვის ბრიგადის წევრებმა. ეს იყო ოთხი წლის წინათ. ახლა ამ საპატიო სახელს ატარებს 25 ბრიგადა და ორი უბანი. ათასობით მშენებელი იბრძვის დამკვრელის საპატიო წოდების მოპოვებისათვის.

მშენებლების შეფები არიან სხვადასხვა ორგანიზაციები. პიონერებიც ხშირად მოდიან აქ. დასამახსოვრებელი იყო, მაგალითად, წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის 80 მოსწავლის სტუმრობა, მათ დაათვალიერეს სამშენებლო ობიექტები, რამდენიმე საათი იმუშავეს სტადიონის კეთილმოწყობისათვის, შემდეგ კი კონცერტი გამართეს...



ჩქარობენ ადამიანები: კაშხალმშენებლები და გვირაბგამყვანები, მებეტონეები და დურგლები, მემონტაჟეები და ელექტრიკოსები.

აქ დროც თითქოს უფრო სწრაფად მიჰქრის. მშენებელთა ცხრაათასიანი ლაშქარი მთელი ფრონტით მიიწევს წინ.

მალე დადგება 1970 წელიც. მაშინ მწყობრში ჩადგება ენგურჰესის პირველი აგრეგატი.

ენგურის ბუმბერაზი ძალა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის კეთილდღეობას მოხმარდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

# ჯიმარაის ტუსაღები



მოთხრობა

— რა დროს ძილია, თენგო, ავდგეთ და ეს არის! — მიუგო არც თუ ხასიამოვნებით შეფიქრიანებულმა მერაბმა, რომელსაც თავისი ნათქვამი თვითონაც არ სჯეროდა. — იცი, რომელი საათია?
— დედას გაფიცებთ, გეხვეწებით, რა ვქნა მეტი!
— რას გვეხვეწები, კაცო?
— დაიძინეთ! ძალიან მეძინება. ხვალ ვიმასხარაოთ.
— რომელი „ხვალ"! — ლაპარაკში ახლა მეც ჩავერიე. — გათენებულია უკვე. შენ ხვალ, ხვალს იძახი?
— მერე რად ბნელა ასე? — თენგიზმა, ალბათ, თავს ძალა დაატანა და, თუმცა არ უნდოდა სულ გამოღვიძებულიყო, თვალები გაახილა. ცოტა ხნის შემდეგ დაფეთებულმა წამოიყვირა: — ხუთს შვიდი აკლია! სწორია?
— ასეა ჩვენთანაც, — მივუგე მე.
— მაიმუნობთ! — თენგიზი გამომცდელად დაგვაცქერდა, — მერაბ, იცოდე, მეწყინება.
— რას ვმაიმუნობთ! — თითქოსდა ეშმაკობას მიუხვდნენო, მერაბს უნებლიედ გაეცინა, — ჩვენ ხომ არ გვითქვამს ასეა-თქო. შენ თვითონ ამბობ.
— საათები გადასწიეთ?
— ხომ არ გაგიჟდი!
— მაშ, ადგომის დროა, — მერაბის დამაჯერებელმა პასუხმა თენგიზი სულ გამოაფხიზლა, — მაგრამ ასე რატომ უნდა ბნელოდეს? გაკარით ხელი კარს!
— შენ გაკარი!
— ეჰ, კაცი თუ თქვენს იმედად იქნა... — თენგიზი შეიშმუშნა, წამოიწია და კარს მისწვდა, მაგრამ მე დავასწარი: ტომარაშივე წამოვჯექი და მიწაზე თოკით დამაგრებული ბრეზენტის კარი ოდნავ გადავწიე. გადვწიე და განცვიფრებისაგან ენაჩავარდნილმა უკან მოვიხედე.
— რა არის? — ერთხმად მკითხეს ბიჭებმა.
არაფერი მიპასუხნია. პირველი შთაბეჭდილების შესამოწმებლად მუხლზე წამოვიწიე, წინ გავჩოჩდი და შიგნიდან ორთქლის წვრილ-წვრილი წვეთებით შეჭირხლული კარი ჯრიგე ხელით მოვსინჯე.
ახლა უკვე შეუძლებელი იყო დაეჭვება.

— ბიჭებო, თოვლი! —მხოლოდ ესა ვთქვი, ვთქვი კი არა, დავიგმინე და ტუჩებაკანკალებული ისევ ამხანაგებისაკენ შემოვბრუნდი.
ჯერ ყველა გაოცებამ შეგვიპყრო. ერთმანეთს თვალებგაფართოებული მივჩერებოდით. კარვის უკანა კალთის ქვეშ გვერდებჩამოღვენთილი სანთელი ენთო და კარს ბუნდოვან, ესწორმასწორო ჩრდილებს აფენდა.
თენგიზი გაჭირვებით წამოჯდა და თავს ზემოთ კარვის კალთას მუშტით შეეხო. კალთა ჩვეულებისამებრ არ შეზნექილა: კლდესავით გამაგრებული იყო. თენგიზმა ახლა ორივე ხელი მოუსვა ბრეზენტის ჩამოზნექილ კედელს მერე კიდევაც მიაწვა. ძვრა ვერ უყო. ეს ცუდად ენიშნა. უცებ ზეზე წამოვარდა და გულგახეთქილი გასასვლელს ეცა. ბრეზენტის კარის ზემო ნაწილი თითქოს კლდეზე მიყინულიყო. თოკი საჩქარაფოდ შემოხსნა პალოს და გამოსწია. ბრეზენტმა ისეთი მშრიალი მოიღო, თითქოსდა მუყაოს ან ტოლის ვეება ფურცელი მუაზე გახიესო. კარვის შემოსასვლელში დაწნეხილი თოვლის ოთხკუთხედი ჩამოდგა. სანთლის შუქზე თოვლს ოდნავ მოყვითალო ფერი დაჰკრავდა, რაც იმის ნიშნად უნდა მიგვეღო, რომ თოვლის ფენა, რომელიც ღამის განმავლობაში თავზე დაგვდებოდა, სქელი იყო და აქამდე დღის სინათლე მზიან დარშიაც ვერ ჩამოაღწევდა.
აი, თურმე რატომ ბნელოდა. ცოცხლად დამარხულებს ხელთ ისეთი არაფერი გვქონდა, რომ ამ საზარელი ტყვეობიდან თავი უვნებლად დაგვეღწია. საჭირო იყო ლოდინი, უსასრულო და დაუსრულებელი. მოეღებოდა კი მას ბოლო ოდესმე? აი, კითხვა, რომელიც ტვინს გვიხვრიტავდა და ხელ-ფეხს გვიდუნებდა.
ხმის ამოღებისა და რისამე თქმის უნარი სამივეს წაგვერთვა. ახლა მხოლოდ სასწაულს შეეძლო თოვლის სქელი ფენის ქვეშ მოქცეულთა დახსნა და მზის სამფლობელოში დაბრუნება. ერთ ხანს ისიც კი ვცადე, თავი სიზმარში წარმომედგინა: ვითომ გავიღვიძებ და ყველაფერი სხვანაირად დამხვდება მეთქი. საშიშროება და ძვალ-რბილში გამჯდარი შიში იმდენად დიდი იყო, ესეც კი ვერ შევძელი. თუმცა რამდენ ხანს შეიძლება საკუთარი თავის მოტყუება!
— კომპასი... გვაქვს? — თენგიზს ენა დაბმოდა. ძლივსძლივობით მოახერხა ამ ორად ორი სიტყვის თქმა და, როცა პასუხი ვერ მიიღო, გარინდებულ მერაბს მიაპყრო მზერა.
მივხვდი კომპასი რისთვისაც სჭირდებოდა. ხმა მერაბსაც ჩაუწყდა. განა ადვილი იყო თქმა, რომ ხელსაწყო, რომელიც ახლა ასე ძალიან გვჭირდებოდა, არც მას ჰქონდა?

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 7, 8, 9.

თენგიზმა უკან მიიხედა. ახლაღა გაგვახსენდა, რომ იქ მეოთხე ამხანაგი — კოტე ვეშაპელი იწვა.

კოტეს ყველაფერი გაეგონა. ტომარა გაეხსნა და ყინულის ვეება ლოდისაგან გამოქანდაკებულივით უძრავად იჯდა. კომპასი, რაღა თქმა უნდა, არც იმას ჰქონდა. იტყოდა, რომ ჰქონოდა.

— რა ვქნათ? — ორიოდე წუთის უსასრო დუმილის შემდეგ იკითხა ისევ თენგიზმა. მერე უცებ სახეზე ორივე ხელი იტაცა და, ყველასდა გასაკვირლად, ხმამაღლა, გულსაკლავად აზლუქუნდა.

რა დასამალია, წავხდი. მუხლები მომეკვეთა. მთელ სხეულში რაღაც უცნაური სისუსტე და დაცარიელება ვიგრძენი.

თენგიზის მოულოდნელმა სასოწარკვეთილებამ მერაბსა და კოტე ვეშაპელზეც თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. შესაძლოა, ეს იმიტომაც მოხდა, რომ თენგიზი სამივე ჩვენგანზე უფროსი იყო. მერაბი თავის თავს აღარ ჰგავდა. სულ რამდენიმე საათის წინ უშიშარი და შეუპოვარი მთამსვლელი ჩვეულებრივ, უბრალო, საშიშროების წინაშე აკანკალებულ ბიჭად გადაქცეულიყო.

ნუთუ ყოველგვარი იმედი გადაწურულია? ნუთუ მართლა აღარაფერი გვეშველება და ისღა დაგვრჩენია, მოახლოებულ აღსასრულს უდრტვინველად ველოდოთ? ძირს მყარი მიწა იყო, ხაროში გამომწყვდეულნი კი მაინც უფსკრულის თავზე ვეკიდეთ; სადღაც მზე და მცხუნვარე ზაფხული იყო, ჩვენ კი მაინც გაყინვა და სიცივით სულის ამოხდა გვემუქრებოდა. იქნებ უკვე ამოვიდნენ მაშველი ჯგუფის რაზმები და სულ ახლოს გაფაციცებით გვეძებდნენ? მაგრამ ვაი, რომ თოვლის ზვინის ქვეშ დამარხულთა გზა-კვალის მიგნება ახლა აღარავის შეეძლო!

რა დღეში იყვნენ სხვები? სად გაათიეს წუხანდელი ღამე ძია შიომ და გერა ხელმძღვანელმა? ცოცხლები არიან თუ უეცრად მოწყვეტილმა ზვავმა, რომელიც მზის პირველ დახედვისთანავე მოსალოდნელია, თან გაიტაცა მიუვალ ვიწროებში? როგორ გაგვეგო, ასე მოხდა თუ არა ეს? როგორ დავკავშირებოდით სადღაც სულ ახლოს დაბანაკებულ ჩვენსავე ამხანაგებს?

ოთხივეს, ალბათ, თავში ეს აზრი გვიტრიალებდა, მაგრამ გასაჭირიდან გამოხსნის ვერც ერთ საშუალებას ვერ ვხედავდით და ყველა საჭირბოროტო კითხვა უპასუხოდ რჩებოდა.

კომპასი არ გვქონდა და ჰორიზონტის მხარეების გამოცნობა მიახლოვებითი სიზუსტითაც არ შეგვეძლო. კიდევაც რომ გვქონოდა, კომპასის საშუალებით მაინც ვერ გამოარკვევდი, საით კლდე, ბაქანი ან კალთა იყო და საით — გადასავარდნი...

ვცდილობდი, გონებაში აღმედგინა დანარჩენი ორი კარვის ადგილ-მდებარეობა. ოთხივ კუთხივ დახშულ კარავში, ვინ იცის, რა სიღრმის თოვლის ქვეშ, გულის გამაწვრილებელ სიჩუმეში და მბჟუტავი სანთლის წინ, რომელიც ეს-ესაა დაილეოდა, ამის გაგება ისევე ძნელი და შეუძლებელი იყო, როგორც ოკეანის ფსკერზე.

იმედის სუსტ ნაპერწკალს ის აღვივებდა, რომ ძია შიო, თუ აქამდე ჯერ კიდევ არაფერი გაუჭირდა, ყოველ ღონეს იხმარდა ჩვენთან დასაკავშირებლად. ასევე მოიქცეოდა გერა ხელმძღვანელიც. მაგრამ ჯერ ხომ უნდა შეგვეტყო ვინ სად ვიყავით და უახლოესი კარავი რომელ მხარეს უნდა გვეძებნა? იქნებ საქმე სულაც არ იყო ისე ცუდად, როგორც ჩვენ გვეგონა და ვაი-უშველებელიც ტყუილად ავტეხეთ?

ახლა საჭირო იყო მდგომარეობის გონივრული აწონ-დაწონვა და მოქმედების სრული ერთსულოვნება. სამივე კარვის ბინადრები სამი სხვადასხვა ციური სხეულის მკვიდრებს ვგავდით. თითოეული ამ სამთაგანი დანარჩენ ორს [illegible] და ხმის მიწვდენას ლამობდა.

ფიქრმა ძალღონე შემმატა და ისე ძალიან უკვე აღარ მეშინოდა. ფიქრი ხომ ადამიანის უპირატესობაა [illegible] ცოცხალი არსების წინაშე. სიკვდილის წინ ფიქრი [illegible] აყუჩებს, ამსუბუქებს და არარაობაში გადასვლაც აღარ გეჩვენება ისე საზარელი...

თურმე რას არ ეჩვევა კაცი! პირველმა ელდამ გაიარა გასტანა პირველმა ათმა, თხუთმეტმა, ოცმა წუთმა, ნახევარმა საათმა...

8

რაკი ამ ხნის განმავლობაში არაფერი მოხდა და ყოველივე უცვლელი დარჩა, გულზე შემომხტარმა მაჯლაჯუნამ ყელში წაჭერილი თითები გაგვიშვა და ჩვენც, სუნთქვას დანატრებულებმა, თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

თენგიზი აღარ ზლუქუნებდა. ყინულის ქანდაკებასავით გარინდული კოტე ვეშაპელი უკან გადაწოლილიყო, თავქვეშ ხელები ამოედო და კარვის წოწოლა ჭერს მიშტერებოდა. მხოლოდ მერაბი იჯდა იმავე მდგომარეობაში. თუ მის სახეს დაუკვირდებოდი, თვალების გამომეტყველებაში წეღანდელი ცხოველური შიშის მაგიერ, აზრის გამალებული მუშაობის ანარეკლს ამოიკითხავდი. სიჩუმე სწორედ მან დაარღვია:

— მაძახებს უნდა შევატყობინოთ!

— როგორ? — ანთებული თვალებით მოჰხედა თენგიზმა და ეს ისე გულუბრყვილოდ იკითხა, თითქოს ამომწურავი პასუხის მოლოდინი ჰქონოდეს.

— დავუძახოთ! არ შეიძლება ხმა არ გავიდეს.

— რატომ ისინი არ გვეძახიან?

კარავში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მერაბმა ტუჩები მოკუმა და გულხელი დაიკრიფა. ის გარემოება, რომ აქამდე არავინ გვეძახდა, მხოლოდ ავის მომასწავებელი იყო. მართლაც რატომ არ გვეძახდნენ? განა ძია შიო დამხმარე ხელს არ გამოგვიწვდიდა?

— მოდი, ყველამ ერთად დავუძახოთ! — გადაწყვიტა მერაბმა, — ვიყვიროთ, რამდენიც შეგვიძლია. მერე ყური მივუგდოთ. არ შეიძლება, არ გამოგვეპასუხონ!

წუთის წინ კრიჭაშეკრულებს ძალიან გაგვიჭირდა ხმამაღლა ყვირილი. თავს ძალა მაინც დავატანეთ. მხოლოდ კოტე იყო გაჩუმებული და კვლავ ჭერს მიშტერებოდა.

— ასე არაფერი გამოვა, — თქვა მერაბმა, — თუ ერთხმად არ დავიძახეთ ხმას ძალა არა აქვს...

ეს მართალი იყო. შევთანხმდით, ჯერ „გე-რააა", ხოლო შემდეგ „ში-ოო" დაგვეძახა. რამდენჯერმე გაგრძელებულად დავიძახეთ და უმალ ერთმანეთი გავაჩუმეთ. თითქოს ვიღაცამ გვიპასუხა! მალე გამოირკვა, რომ ეს ნანატრი პასუხის მოჩვენება იყო და კარავში გამეფებულ სამარისებურ მყუდროებას არავინ და არაფერი არღვევდა.

ნუთუ მეზობელი კარავი ასე ძალიან შორსაა, ანდა მართლა უბედურება მოხდა?

— ერთხელ კიდევ ვცადოთ! — ვედრებასავით გაიმეორა მერაბმა და ფერდაკარგული სახე წუთით ვეშაპელისაკენ მიაბრუნა, — ერთი, ორი, სამი! გეერააა...

— გეე-რააა! გეე-რააა!

კვლავ სამნი ვყვიროდით. უცნაურად გაშტერებულმა კოტემ ხმა ამჯერადაც არ დაგვაწია. მალე გავჩუმდით. გარეთ ბაიბური არ ისმოდა. მერაბმა საათს დახედა. შვიდი უკვე შესრულებულიყო. როდის გაირბინა ამ დრომ! მაშ, თუ გარეთ აღარ თოვს და ქარიც ჩადგა, თოვლიან ჭიუხებს ახლა აგვისტოს თაკარა მზე დაჰქათქათებს. თოვლი დნება. მოწანწკარებენ ანკარა წყაროები. კარვის თავზე წამოდგმული თოვლის გორაც, ალბათ, გადნება, მაგრამ როდის?

უცებ ბრდღვინვისმაგვარი რაღაც ხმა მოგვესმა და შეშ-კრთალნი ზურგით კარვის კალთებს ავეკარით. კოტე ვეშაპე-ლი, აქამდე რომ წყნარად იწვა თავის ტომარაში და გუშინ-დელი სულსწრაფობისა ნიშანწყალიც კი აღარ ემჩნეოდა, ზეზე წამოვარდნილიყო, სანთლის ნამწვი ხელში დაეჭირა და რაღაცას გაფაციცებით ეძებდა.

ერთბაშად ვერავინ მოისაზრა, რა მოუვიდა კოტეს და ან ორი-სამი წუთის შემდეგ რა უნდა მომხდარიყო. ვიდრე თენგიზი, მერაბი და მე გონს მოვეგებოდით და რაიმეს ვი-ღონებდით, კოტემ ხალთებს უკან გადავარდნილ თავის წე-რაყინს ხელი დასტაცა, სანთელი იქვე მიაგდო, მე მუჯლუ-გუნი მკრა, რადგან ფეხებში ვებლანდებოდი, და კარში ჩამომდგარ თოვლის ზვინს გოლიათივით დაეტაკა.

— გაგიჟდა ეს ოხერი! — აღმოხდა მერაბს, — ფრთხი-ლად, წერაყინი არვის მოგახვედროთ! ვის მივეცი წელან ასანთი? მოუკიდეთ სანთელს! კოტე, რას შვრები, ბიჭო, სად მიდიხარ, გინდა, ოთხივე დავიღუპოთ?

კოტე ვეშაპელს, მე მგო-ნია, ამხანაგების ხვეწნა-მუ-დარა უკვე აღარ ესმოდა. გაშმაგებული ნადირივით ბრდღვინავდა და კარში ჩა-მომდგარ თოვლის გლუვ კე-დელს ხელებით, კბილებით, მთელი თავისი გოლიათური ღონით ებრძოდა.

კარვის კუთხეში მიგდე-ბული სანთლის ნამწვი მოვ-ძებნე და ძლივსძლივობით მოვუკიდე. ძირს დავარდნი-სას სანთელს პატრუქი დას-ველებოდა და ცეცხლს აღარ იკარებდა. როდესაც ანთებუ-ლი სანთლით ხელში კარი-საკენ შემოვტრიალდი, იქ უკვე ხელჩართული ბრძოლა იყო გაჩაღებული. კოტეს წე-რაყინი გვერდზე მიეგდო და სიმწრისაგან კბილებდაკრე-ჭილი თოვლის კედელს ხან შუბლს ურტყამდა და ხან მხრით ეჯაჯგურებოდა. მერაბი და თენგიზი მას ორივე ქურთუკში ჩასჭიდებოდნენ და ცდილობდნენ როგორმე კარისათვის მოეცილებინათ.

რა უნდოდა? ნუთუ აქედან მარტოდმარტო გასვლას და თავის შველას აპირებდა?

გაშმაგებული კოტე დიდი გაჭირვებით დავაშოშმინეთ და დავარწმუნეთ, რომ მხოლოდ ძალის გამოყენებით აქ ვერც ერთი ჩვენგანი ვერაფერს გახდებოდა. თუ სამშვიდობოს გას-ვლა გვსურდა, სამივეს ერთად უნდა გვეცადა ბედი. წინა-აღმდეგ შემთხვევაში სამივე მოთმინებით უნდა ალვჭურ-ვილიყავით და გვეცლია, ვიდრე ღამის განმავლობაში ჩა-მოწოლილი თოვლის ზვინი ტყვეობიდან გაგვათავისუფლებ-და.

არ ვიცი, დაიჯერა თუ არა. პირქვე დაემხო და ხმამა-ღალი გმინვა ამოუშვა. ხელახლა ვემუდარეთ, ფეხზე მაინც



გაიხადე-თქო. ახლოსაც არ გაგვიკარა. ვერც ტომარაში ჩაწვენა და ჩათბუნება მოვუხერხეთ. ამოდენა ვაჟკაცი ძუძუთა ბავშვი ხომ არ იყო, ჩვენს ნებაზე რომ გვეტრიალებინა. არა და, თოვლის კედლებით ალყაშემორტყმულს მოყინვა წუნკალი ძაღლივით ფეხაკრეფით გეპარება. საკმარისია ვერ შენიშნო, მოდუნდე და უმოქმედობას მისცე თავი, რომ გეცემა, გეცემა და მერე რაღა გამოგგლეჯს მისი კლანჭებიდან!

სანთლის ნამწვი შიშხინ-შიშხინით დაიღრია, კარავში ტრუსის სუნი დააყენა და ჩაქრა. სრული სიბნელე ჩამოწვა. ერთმანეთს უკვე ველარ ვხედავდით. მე კიდევ მქონდა ორი ღერი სანთელი, ბიჭებმაც იცოდნენ, რომ მქონდა, მაგრამ სანთლის უკანასკნელი მარაგისათვის ხელის ხლება ვერ გამებედა: ვინ იცის, ტყვეობა რამდენ ხანს გასტანდა და უმჯობესი იქნებოდა, თუ სანთელს უფრო ძნელი წუთებისათვის შემოვინახავდი.

ასანთის მარაგიც შევამოწმეთ. თურმე მხოლოდ სამი კოლოფი გვქონდა. აქედან ერთი კოლოფი ნახევრად დამბალი იყო და გამოსადეგი ღერები ნახევარიც აღარ გადაირჩეოდა. მაშ, არა მარტო სანთელს, ასანთსაც კი თვალისჩინივით უნდა მოვფრთხილებოდით და მხოლოდ უკიდურესი საჭიროების დროს გაგვეკრა. რაკი სანთელი ჩემს ხალთაში იყო, მერაბმა ასანთის კოლოფებიც მე მომაბარა. ორი კოლოფი მშრალ წინდაში გავახვიე და ისე ჩავკეცე ადვილად მისაგნებ ადგილზე, მესამე კი ცალკე ჩავდე, რათა სინოტივე დანარჩენ ორსაც არ გადასდებოდა.

კოტე თანდათანობით მიჩუმდა. ალბათ, ჩაეძინა, მაგრამ რა ეშმაკმა დააძინა ამ სიცივეში და ამოდენა აყალმაყალის შემდეგ! ხელი გადავყავი და ფრთხილად მოვსინჯე ის ადგილი, სადაც კოტეს ტომარა უნდა ყოფილიყო. კოტე ისევ ზემოდან იწვა საძილე ტომარაზე. იგრძნო თუ არა, ვიღაცა ხელს მიფათურებსო, შეიშმუშნა და გვერდი იცვალა.

— კოტე! — ხმადაბლა დავუძახე იმის შიშით, ხელახლა არ გადავრიო მეთქი, — გესმის, კოტე?

— რა გინდა?! — ბრაზიანად მომიგო მან.

— უსათუოდ მოიყინები და ჩვენც გაგვაწვალებ.

— ეგ გადარდებს! საკუთარ ტყავში დაეტიე! ვითომ გული შესტკივათ! — თავისი მდგომარეობის წარმოდგენით გაავებული კოტე მერაბსაც და თენგიზსაც გადასწვდა, — ვიცი, რა ვაჟბატონებიც ბრძანდებით! მარტო თქვენი კი არა, სხვების ამბავიც ვიცი! მწვერვალის ძირში მიგვატოვეს. ვითომ მარტო ამათ შეუძლიათ...

— მართლა და მართლა, დაუკრეფავში ნუკი ჯადადიხარ! — მერაბმა ველარ მოითმინა და ლაპარაკში ჩაერია, — თუ იქით არავინ გესაყვედურება, იჯექი შენთვის და იყავი! იცი თუ არა, ვის გამო ვართ ყველა აქ?

— ვის გამო? — კოტეს ხმა აუკანკალდა. ის, ალბათ, არ მოელოდა მერაბის გაცეცხლებას, — ვის გამო, თქვი!

— გინდა, მართალი გითხრა? — მერაბი კიდევ უფრო გაფიცხდა და ვეშაპელს შიგ პირში მიახალა, — შენს გამო! გაიგე ახლა?

— ენა ყველაფერს იტყვის...

— დიახ, ენა ყველაფერს იტყვის! — გაიმეორა მერაბმა, — ამიტომ ზედ კბილი უნდა დააჭირო და ჩუმად იჯდე, როცა დამნაშავე ხარ! შენ რომ არ აგვეთრია ფეხი და ჯგუფის დაშვებისას დრო არ დაგვეკარგა, ვინ იცის, იმ ოც წუთში სად ვიქნებოდით. ოცი წუთის დაკარგვა ახლა შეიძლება მთელ სიცოცხლედ დაგვიჯდეს ყველას, მარტო შენ კი არა!

— ჩემთვის სულ ერთია. შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია.

— თავი დაანებე მაგ ლამაზ სიტყვებს. რაღაცა გირჩევნია, კარგად ვიცი!

— მერაბ, გაგიჟდი? — გაისმა სიბნელეში თენგიზის ხმა, — მაგეების ლაპარაკის დრო ნახე?

— არ მომეშვა, სანამ ყველაფერი არ მათქმევინა, — გაცეცხლებული მერაბი თავს ძლივს იმაგრებდა, — მერე შემდეგ ეცოდინება!

— ვიცი! გაიგეთ? ვიცი! — კოტემ [illegible] აღარ დაამთავრებინა მას და შემზარავი ხმით დაიღრიალა, — ვიცი! ვიცი! — და, რადგანაც ენაზე მეტი არაფერი მოადგა, ტირილი დაიწყო. ტიროდა კი არა, ხაფანგში გაბმული აფთარივით ყმუოდა და გულამომჯდარი სულს ძლივს იბრუნებდა.

— მაგან ის თუ იცის, რომ ყოველი დაყვირება და ზედმეტი მოძრაობა, ხანდახან ლაპარაკებაც კი, ზვავის მოწყვეტით გვემუქრება? — უმისამართოდ თქვა თენგიზმა, — თუ თავი არ ეზოგება, ჩვენ რაღას გვერჩის?

კოტე ისევ ყვიროდა, ილანძღებოდა და სიტყვა რა არის, სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა. ბოლოთ გულგასიებულმა ბოლოს თავქვეშ რაღაც გამოიძრო, მოიქნია და მთელი ძალღონით კარს ესროლა, თან ჩახლეჩილი ხმით დაიღრიალა:

— მხდალებო! გლახაკებო! მოღალატეებო!

— ვხედავთ, ვინც არის გლახაკი და მოღალატე! — გესლიანად შენიშნა საძილე ტომარაზე წამომჯდარმა თენგიზმა, — იცი, რა გითხრა, ვეშაპელო? კობში ძია შიოს ხათრით ვერაფერი გავბედე. ბიჭებია მოწმე. რაც უნდა იყოს, უმცროსი ხარ და... — თენგიზი წამით შეყოვნდა, თითქოს ვერ გადაუწყვეტია, თქვას თუ არაო, და მერე უცებ დაამთავრა: — ახლა თუ ჭკუით არ იქნები. იცი რას გიზამ?

— ვის ეუბნები? — ტირილნარევი ბრდღვინვა ამოუშვა კოტე ვეშაპელმა უცებ შეწყვიტა და წამოჯდა, — მე მეუბნები? წერამ აგიტანა?

— ვისაც ვეუბნები, კარგად იცი და გაჩუმდი ახლა!

— მე გავჩუმდე? მე?

— შენ, დიახ, შენ გაჩუმდი, თუარა...

— თუარა რა?

— რაც შენს სიცოცხლეში დაგკლებია, ახლა ერთბაშად მიიღებ!

— ოხ, შენი!... — კოტე ვეშაპელი ძუ ვეფხვივით წამოვარდა და სანამ ჩვენ წავეშველებოდით, თენგიზს, ალბათ, სულ ლუკმა-ლუკმა დაგლეჯდა, მაგრამ სწორედ უკანასკნელ წამში, თითქოს ტყვია მოხვედრიაო, მოცელილივით დაეცა და ერთი გრძლად დაიკვნესა.

მე და მერაბს გვეგონა, რომ თენგიზმა დაასწრო და გაარტყა. მთელ ტანში ცივმა ჟრუანტელმა დამიარა. მაგრამ ასე უხმაუროდ და ელვის უსწრაფესად? წაქცეულს მივცვივდით.

— გიგი, სინათლე! — მომაძახა მერაბმა.

მაშინვე ხალთას ვეცი. სიჩქარის და ზედმეტი მონდომების გამო ისე დავიბენი გათოშილ ხელებს ხან აქედან ვუსვამდი ნოტიო ხალთას და ხან იქიდან, ვერასგზით — ყელი ვერ ვუპოვე.

— ჩქარა, ბიჭო, დაგეძინა? — მერაბი ცეცხლს მინთებდა.

— მაცალე, ხომ ხედავ, ვეძებ! — მივუგე მე და შუაზე გატეხილი კარტოფილის სანთელი ხალთიდან ძლივს ამოვაძვრინე. ახლა ასანთი გაჯიუტდა. ხუთ ღერს ზედიზედ წასძვრა თავი. გულზე გავსივდი. მეექვსე ღერი აცურდა და გოგირდის შრე აატყდა კოლოფს. მე უბედურმა მგონი უკუღმა გავკარი. ღერს ვინლა ჩიოდა...

— რას შვრები, ბიჭო, ქარი გაგიდგა ხელებში? — ცხარობდა მერაბი.

— მომეცი, მე მოვუკიდებ! — მითხრა თენგიზმა, რომელიც ჩემთან სხვებზე ახლოს იყო, და სიბნელეში ასანთიანი

ხელი მოძებნა. სიამოვნებით დავუთმე. მერაბის საყვედურს მაინც გადავრჩებოდი. — დალბა, თუ იცი?

— შეაბრუნე. აქეთა გვერდიდან აღარ ეკიდება. რა უქენი კოტეს? ადამიანის აგრე გამეტება შეიძლება? ისიც სად და რა დროს!

— მე რა ვუქენი! — თენგიზმა გაიოცა და, ალბათ, შემომხედა, რადგან ასანთის კოლოფზე გაკრული ღეროს ჩხაკუნი არ გამიგონია, — წელკავმა თუ გაუარა.

— ცხენია თუ?

— ცხენზე უკეთესია? — შევარცხვინე მაგისთანა უზნეო ცხენი! თუ ყოველ ლაფსა და მორევში ჩაგიწვა, რა იხრად გინდა! სწორედ ლაფში და მორევში გადასასვლელად არის საჭირო. გული რაზე მოსდის? ეგ თოვლქვეშ დაგვეტოვებინა? ვეთ და ჩვენ მზისგულზე გავედით თუ? ყველა ერთად არა ვართ?

— ახლა შენ დაიწყე! — ხმას ისევ აუწია მოთმინებიდან გამოსულმა მერაბმა, თუმცა კარგად ესმოდა, რომ თენგიზის პირით თვით ჭეშმარიტება ლაპარაკობდა, — მოუკიდეთ მაგ სანთელს, თუ უკიდებთ, თუ არა, მომეცით აქ!

— დამბალია, ძმაო, და მე რა ვუყო! — თავი იმართლა თენგიზმა.

— სამახარობლოთ გერგება!

— რა მოუვიდა, მაინც, აღარ იტყვის? მართლა წელკავმა ხომ არ გაუარა?

— ავად არის კაცი. მე მგონი, სიცხემ აუწია.

— ეგლა გვაკლდა. ნუ ჩაწვება, ნუ, ტომარაში, ჩვენ გამოგვეჯიბროს!

— აგრე, ხომ? — კოტე ვეშაპელი ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა და ძვალ-რბილში გამჯდარი სიცივით მოკრუნჩხულს მეტი რომ აღარაფერი შეეძლო, ეტყობოდა, ცრემლებს ყლაპავდა, — სამივემ ჩემ წინააღმდეგ შეკარით პირი?

— სულ მაგას ვნატრობდით, ერთი ხელში ჩაგვაგდებინათქო! — გაუტრიზავა თენგიზმა, — შენ ვინა ხარ და შენ წინააღმდეგ პირის შეკვრა რაღა იქნება!

— კარგი! — თქვა კი არა, დაიგმინა ტკივილით გაავებულმა კოტემ. წამოდგომა და ხელის გამოღება მის ძალღონეს აღემატებოდა. წუხანდელმა გაუხდელობამ და სველი ტანსაცმლით წოლამ, ჩანდა, შედეგი გამოიღო. კოტეს ან ანთება დაემართა და ან სიცივისაგან დაიხუთა. სწორედ ისე გვემართებოდა, როგორც ანდაზაშია ნათქვამი: საწყალ კაცს ქვა აღმართში დაეწიაო.

ასანთის ღერზე მოდებულმა ალმა ამ დროს სასიამოვნო შრიალი მოიღო, თითქოს ღობის სარებზე ჩამომსხდარი ბეღურების გუნდი ერთბაშად წამოიშალაო და თენგიზის კიბოსავით დაწითლებული თითები სიბნელეს გამოსტაცა.

— არიქა, სად არის სანთელი? — იყვირა მერაბმა.

— აგერ, აგერ! — მე სანთელი მოვუმარჯვე და მარცხენა ხელით ახალი ღერო დავუპირდაპირე ასანთის სუსტ ალს.

სანთელი თავპატიჟს იდებდა, იღვენთებოდა, შიშინებდა და ცეცხლის ალს არ იკარებდა, მაგრამ ბოლოს მაინც მოეკიდა, თანდათანობით აბრიალდა და, როგორც იქნა, ერთმანეთი დავინახეთ.

9

რაც კი ხელში მოხვედროდა, გამხეცებულ კოტეს ყველაფერი აქეთ-იქით გადაეყარ-გადმოეყარა და მირეულ-მორეულ ნივთებში პირქვე იწვა. ფეხებთან შუაზე გადატეხილი ლერწმის ჯოხი ეგდო. ნეტა როგორღა აპირებდა კალთაზე დაცურებას, თუ ბედი გაგვიღიმებდა და საპყრობილედან ოდესმე მაინც გავიდოდით? იქვე, თოვლში, რაღაც ბრწყინავდა. მაშინვე ამოვიღე და ელდა მეცა. ვიცანი ჯიბის ელექტროფარანი, რომელიც თენგიზმა პირველად გამოქვაბულში აანთო. ფარანს ახლა აღარ ეკიდებოდა. ან ელემენტს შეპაროდა ნამი, ანდა ნათურა იყო გადამწვარი.

— ამას რა მოუვიდა? — ფარანი ავიღე და თენგიზს ვკითხე.

— გადამწვარია. მოიტა აქ!

— ადე ტომარას გაგისწორებთ, ჩაწექი შიგ! — ღიმობილად უთხრა ავადმყოფს მერაბმა და შუბლზე ხელი მოუთათუნა, რაც წელანდელ ტუქსვას სრულებით არ ჰგავდა, — გესმის?

— რას ებოდიშებით?! — შემოგვიტია თენგიზმა და გაუქმებული ფარანი ხალთაში ჩასდო, — სამი ჟაკკაცი ერთ მცონარას ვერ მოვერევით? ორმა ავწიოთ, მესამემ ტომარა გამოვაცალოთ ქვეშიდან. მოეჭიდე ფეხებთან, მერაბ. შენ, გიგი, ტომარა გაასწორე. ცოცხლად!

— ხელი არ მახლოთ! — თითქოს სადღაც შორიდან მოისმა კოტეს მიკნავებული ხმა, — მტკივა... გავგიჟდები...

— რა გტკივა? — ჩაეკითხა მერაბმა.

— ფეხები... მუხლებს ქვევით მტეხს... ხელს რომ ვახლებ...

— აი, ხომ ვთქვი, მოყინულია! — თენგიზმა გულხელი დაიჭდო და მერაბს მიაჩერდა, — რა ვუშველოთ ახლა?

— გულაღმა გადმობრუნდი. ფეხთ გაგხდით და დაგიზელთ, — მერაბმა ისევ ავადმყოფს მიმართა, — ნუ გეშინია. ბიჭო, ხელად გაგივლის. ფეხებში სიცივე არ გაგჯდომია? გადმობრუნდი, ჰო!

— არ შემიძლია... — კოტე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიტყვებს, კვნესოდა და მერაბის ძმური თანაგრძნობით გულაჩუყებული ცრემლებს ღვრიდა, — არ შემიძლია... ხომ გითხარით... მე ვიცი, რაც მომდის...

— რა მოგდის, რა?

— ასე დამტოვეთ... მე არაფერი არ მინდა... ასე დამტოვეთ...

— სად მივდივართ, შენ რომ დაგტოვოთ! — ხმა თანდათან უფრო გაუცივდა მერაბს და კოპებიც შეკრა. ეტყობოდა, ისევ გული მოსდიოდა. ასეთ დროს ის საკვირველად ემსგავსებოდა ხოლმე თავის მკაცრ დედას და, ბიჭი იყავი, წინააღმდეგობა გაგეწია, — გადავაბრუნოთ, თენგიზ, გიგი... აბა!

პირქვე დამხობილ ავადმყოფს სამივემ მოვავლეთ ხელი და, თუმცა ის გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა — მერაბს კინაღამ მაჯაზე უკბინა — დროებით ჩემს ტომარაზე გადავაწვინეთ. კოტე ღმუოდა, ბრდღვინავდა. ასე ჯადარეული რქამოტეხილი ხარი თუ მინახავს. ხელი გავუშვით თუ არა, ნიშნად იმისა, რომ სხვისი დახმარება არ ესაჭიროებოდა, ტომრიდან მიწაზე გადმოგორდა და ზურგი თოვლის სიმძიმით ჩამოზნექილ კალთას მიაბჯინა.

— ადექი, ბიჭო, აგრე როგორ შეიძლება! — ახლა მე დავუწყე ხვეწნა-მუდარა, — არ კვდები და ძალით იკლავ თავს?

კოტე კვნესოდა, გმინავდა და სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა — მომეშვით, თავი დამანებეთ, მე არაფერი მინდა, ასე დამტოვეთ. მხოლოდ ისღა მოვახერხეთ, რომ რის ვაივაგლახით ისევ თავის ტომარაზე დავაწვინეთ. გახდით მაინც არ გაიხადა, არც ფეხსაცმლის თასმები შეგვახსნევინა.

თენგიზი ადგა და ბუჭებში ოდნავ მოხრილი კართან მივიდა, სადაც თეთრად ქათქათებდა თოვლის ოთხკუთხედი. ერთხანს იდგა და თოვლს უაზროდ მისჩერებოდა, მერე უკან შემობრუნდა. კარავში რაღაცას ეძებდა თვალებით.

— რა გინდა? — ვკითხე მე.

— თხილამურის ჯოხი მომაწოდე. ჩემები შეკონილია. ნუ გამახსნევინებ.

თხილამურები მეც შეკონილი მქონდა და კარვის უკანა კალთის გასწვრივ თავქვეშ მეწყო, მაგრამ უმალვე გავხსე-

ნი და ჯოხი თენგიზს გავუწოდე. იმან ჯერ კარის წინ გამოთხარა თოვლი, საფეხური ჩაბეკნა, ზედ დადგა და წინა კალთის გასწვრივ თოვლს ჯოხი შეუჩხიკინა. მე და მერაბი თვალმოუშორებლივ ვუყურებდით. მხოლოდ კოტე ვეშაპელი იწვა უძრავად და ყრუდ კვნესოდა.

— გიგი, მოდი! — გადმომძახა თენგიზმა.

დაუზარლად წამოვხტი და კართან გავჩნდი.

— შედექი, სინჯე! — ამ სიტყვებით თენგიზი ძირს ჩამოხტა, ჯოხი მომაწოდა და თოვლის საფეხურზე ადგილი დამითმო. თავს ზემოთ თხილამურის ჯოხით გახვრეტილი ხვრელი იყო. ხვრელისა მხოლოდ ძაბრის პირივით მოფართოებული დასაწყისი ჩანდა. შუაწელი სიბნელეში იკარგებოდა. თენგიზი, ალბათ, იმედოვნებდა, ჯოხის წვერით თოვლის ზედაპირს ავწვდებოით, მაგრამ ეს არ მოხერხდა. მე მაინც შევეცადე ოდნავ ზემოთ ამეწია. არც ახლა გამოვიდა რამე. თოვლის ზედაპირი შორს იყო.

— ამდენი მაინც როდის დაგვათოვა! — ჯავრიანად თქვა თენგიზმა.

— ვერ ხედავდი, რამსიფართე ფიფქები მოდიოდა? — მივუგე მე და კარავში შემოყრილ ხრამუნა თოვლზე ჩამოვხტი.

— ქარბუქის ნამუშევარი უნდა იყოს, — ფრთხილად გამოთქვა თავისი ვარაუდი კარვის კუთხეში დაყუნცულმა მერაბმა, — ამ ქარბუქმა კიდევაც დაგვარჩინა და ცოცხლადაც დაგვმარხა. შეიძლება, ახლაც თოვს, ანდა ისევ ქარია და თავზე ახალ ნაბუქ თოვლს გვაყრის.

— თუ ასეა, მაშინ ვერასდროს ვერ გავსულვართ აქედან და ის არის! — უკმაყოფილოდ შენიშნა თენგიზმა, თუმცა გრძნობდა, რომ მერაბის ვარაუდი საქმეში ჩახედული კაცის ჭკვიანური მოსაზრება იყო.

— არა მგონია, ამ ქარმა თოვლი გააჩეროს, — დინჯად თქვა მერაბმა, — როგორც კი მიმართულებას შეიცვლის და სხვა მხრიდან დაუბერავს, ქედის ხერხემალს ორიოდე საათში გააშიშვლებს.

— მე რას ედართობ, ბიჭებო, იცით? — თენგიზმა, ეტყობოდა, გადაწყვიტა უმთავრესი საშიშროება, ბოლოსდაბოლოს, ხმამაღლა მოეხსენებინა, — წუხანდელს აქეთ კარვის კალთები ძალიან ჩამოიზნიქა. ამჩნევთ? ხანდახან თოკის წიწკინიც ისმის. ვაითუ ჩამოგლიჯოს. რაღა გვეშველება მერე? ქშოვილია ეს კარავი მეტი ხომ არაფერი! ან თოკმა გვიღალატოს ან...

— თუ ჩამოგლიჯა, ყველაფერი გათავდება, ხელსაც ვერ გავანძრევთ — მოჭრა მერაბმა, — მე ეს წუხელაც ვიფიქრე.

— ველოდოთ მერე, როდის ამოვიგუდებით?

— რაიმე მოიფიქრე თუ?

— მე რა მოვიფიქრე... ვიცი, რომ აქ დარჩენა საშიშია, მაგრამ...

კოტემ კვნესას მოუმატა და რაღაცა ჩაიბუტბუტა.

სამივე მივტრიალდით.

— კოტე, გვითხარი რაიმე? — ჩაეკითხა მერაბმა.

პასუხის ნაცვლად მხოლოდ კვნესა და გაურკვეველი ბუტბუტი მოისმა.

— ხომ არ ჩაეძინა? — ახლა მე და თენგიზს მოგვიბრუნდა მერაბი.

— მგონი, — სათუოდ დავეთანხმე მე.

— სანამ ძინავს, მოდით, გავხადოთ!

ეს აზრი ჭკუასთან ახლო იყო. გაჯიუტებულ კოტე ვეშაპელს სამი კაფანდარა ბიჭი მძინარეს თუ გავხდიდით, თორემ ფხიზელს ახლოსაც ვერ მივეკარებოდით.

ის იყო, მერაბი მარჯვენა ფეხთან ჩაცუცქდა და ჩაკვანძულ თასმას მოუსვა თითები — საიდან აჯობებს დანის წვერის ამოდებაო, კარავი და კარავთან ერთად თითქოს მთელი დედამიწა ერთბაშად შექანდა და გამაყრუებელმა გრუხუნმა იქაურობა აავსო. დაფეთებულ კოტეს უცებ გამოეღვიძა. იქნებ არც სძინებია. ვაიმე, დედაო, საოცრად წვირილი ხმით წამოიკრუსუნა, წამოჯდა და გათოშილი ხელები მე და მერაბს ჩაგვჭიდა.

თავზარი დაგვეცა. მე, მერაბი და თენგიზი იმავე ადგილზე დავრჩით გაქვავებულნი, სადაც ამ საშინელმა ჭექაქუხილმა და მიწისძვრამ მოგვისწრო. საიდანღაც მონაბერმა ქარმა თუ ნიავმა კარავში თოვლის მტვერი დააყენა და სანთელი ჩააქრო. სველ ჯურღმულში ისევ უკუნმა ღამემ დაისადგურა. ბედად, ეს მეორედმოსვლა მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა. მიწისძვრამ თანდათან იკლო და გრუხუნიც ნელნელა მიილია. ვიგრძენი, როგორ შემიშვა კოტემ გაყინული ხელი და თავადაც შვებით ამოვისუნთქე.

— ზვავი იყო, — თავისთავს უთხრა თენგიზმა სიბნელეში და მერე სხვებს მოგვიბრუნდა, — ნეტა გადავრჩით?

პასუხი არავის გაგვიცია. ვის შეეძლო დანამდვილებით ეთქვა, გადავრჩით თუარა. ამ წუთში, მართალია, სული გვედგა, მაგრამ ყოველი მომდევნო წუთი სიკვდილთან გვაახლოებდა.

ნეტა სად მოწყდა ზვავი, რა ადგილას, კარვიდან რა მანძილზე?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელი იყო. ზვავის შემაძრწუნებელი გუგუნი კარავში ყოველი მხრიდან შემოდიოდა. კარავი თითქოს ზვავის ქვეშ მოექცა. მაშ, რამ გადაგვარჩინა? ნუთუ ზვავმა გარშემო შემოგვიარა, ახლომახლო ყოველივე წალეკა და მხოლოდ თოვლის გამოქვაბულში მომწყვდეული ოთხი ადამიანი გავრჩით მეჩეჩზე!

შიში, თუ რა უნდა დამართნოდათ დანარჩენ ორ კარავში თავშეფარებულთ, არავის გაგვიმჟღავნებია. სულის სიღრმეში იმედის სუსტი შუქი კიაფობდა. იქნებ... იქნებ იმათაც ჩვენებრ ბედმა გაუღიმა და უვნებლად გადარჩნენ? ნუთუ კიდევ გველირსებოდა ნახვა სკოლის ამხანაგებისა, რომლებთან ერთად უდარდელი სიყმაწვილე გაგვეტარებინა, პირველი კლასიდან მოკიდებული ვიდრე დღემდე, და ვის გვერდითაც ჯერ კიდევ გუშინ ვიყავით?



ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწინ ცხადლივ წარმომიდგა თავს დატეხილი უბედურებით მიწასთან გასწორებული ციცო. საწყალი გოგო ჯერ თვრამეტი წლისაც არ გამხდარა და უკვე რამდენი სიმწარე არგუნა ტიალმა ბედმა. ჯერ საყვარელი ბიძა დაეღუპა მხელდაზე, ახლა მამა და ერთადერთი ძმა დაიკარგნენ უგზოუკვლოდ. სიკვდილიც არის და სიკვდილიც. საფლავი მაინც დარჩენოდა...

იმის გახსენებამ, რომ ციცოს მფოთიან ფიქრებსა და ვაებაში განსაკუთრებული ადგილი არ მეკავა, გული დამითუთქა. ციცო მხოლოდ ისე შემიცოდებდა, უბრალოდ, როგორც ამხანაგს... გაივლიდა ხანი და ბევრ სხვა ამხანაგთან ერთად, ალბათ, მეც დამივიწყებდა. იმასაც კი ველარ მოიგონებდა, მოვკვდი თუ გავიზარდე. მერე სულ სხვა ვინმე მოვიდოდა და ციცოს გულის კუნჭულში საოცნებო ადგილს დაიკავებდა, იმ ადგილს, რომელიც, ვინ იცის, თუ მთლად უბედური და განწირული არ ვყოფილიყავ, მე უნდა დამეკავებინა. ბოლოს, შვილებიც გაჩნდებოდნენ. ციცო შავ კაბას გაიხდიდა. ბედნიერი ქმარ-შვილის პატრონს როდილა მოუწონებდნენ თალხის ტარებას. გლოვასაც, როგორც ყოველივეს ამ ქვეყანაზე, ხომ აქვს დასასრული. მის ხსოვნაში თანდათან გამკრთალდებოდა მამაც, მერაბიც, უფრო ადრე კი — მხელდაზე დაღუპული ბიძის სახე... გაგრძელდებოდა ცხოვრება, ისევ ისეთი, როგორიც ჩვენ გვქონდა, ან სხვანაირი, ჩვენ კი სამარადჟამოდ აქ დავრჩებით, აქ თოვლის ქვეშ...

— მერაბ! გიგი! — თითქოსდა ფრთხილობს, არავინ გამოვაღვიძოთო, — ხმადაბლა დაიძახა თენგიზმა, — ასანთი რომელმა შეინახეთ?

ლაწვზე ცრემლის კურცხალი ჩამომიგორდა და შემინებულმა, თენგიზმა უცებ ასანთი არ გაჰკრას და არ დამინახოს, ჩემმავე გულისმომწყვლელმა ფიქრმა რა დღე დამმართა მეთქი, პასუხის გაცემის მაგიერ თვალებში მჯილი ამოვისვი.

— შენ არ გვკავა წეღან? — უკმაყოფილოდ უთხრა მერაბმა.

მაშ ის, მერაბი, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მეც ცოცხალი ვიყავი, თენგიზიც, კოტეც...

იქნებ ძია შიო და სხვებიც უვნებელი არიან?

— კაცი ცხენზე იჯდა და ცხენს დაეძებდაო! — თავისთავს გამოაჯავრა თენგიზმა, რადგან ამ დროს ასანთი საკუთარი შარვლის ჯიბში იპოვნა, და გაჰკრა, — რანაირად ჩაგვიქრო მაინც...

— სანთელი? — მერაბი უხალისოდ შეეხმიანა.

— ჰო. ამისთანა რამე ჯერ არ მინახავს. კარავია. ზემოთ იმოდენა თოვლი გვადევს...

— თოვლს ხომ აქვს ნასვრეტები. არ დაკვირვებიხარ? იმ ნასვრეტებში გამოატანა ქარმა და კალთის ქვეშ დაუბერა.

— ვაითუ კალთა გასკდა სადმე!

— არა მგონია. ხმას ვერ გავიგონებდით?

— ქვეყანა იქცეოდა, ბიჭო...

— აი, მოუკიდე და ვნახავთ!

მერაბის მოსაზრება სწორი აღმოჩნდა. როცა ბევრი წვალებისა და ჯახირის შემდეგ თენგიზმა სანთლის ნამწვს მოუკიდა და ჯურღმულის ჩამოზნექილ ჭერსა და კედლებს უსწორმასწორო ჩრდილები მიეფინა, დავინახეთ, რომ კალთის ძირებში შემოყრილ ნამქერს საძილე ტომრებამდე მოეღწია და შიგ ტომრებშიაც უსირცხვილოდ ჩაეხედა.

10.

კარვის გამოგვას და საძილე ტომრების დაბერტყვას კარგა გვარიანი დრო მოვანდომეთ, ასე რომ არ მოგვქცეულიყავით თოვლის თხელი ფენა დაღამებამდე ფეხქვეშ გადნებოდა და ვაითუ საძილე ტომრებიც დაესველებინა.

— რომელი საათია? — დაღლილი ხმით იკითხა თენგიზმა.

მე მაჯა მოვიშიშვლე და საათის ციფერბლატი სანთელს დავუპირდაპირე.

— რომელია? — მოუთმენლად გაიმეორა მან, რადგან უნებლიედ შევყოყმანდი და პასუხი [illegible] ადრე იყო?

— ჩემთან სამს უკლია რვა წუთი! — დამასწრო მერაბმა.

— სამს უკლია? — თენგიზი მგონი რაღაცას იხსენებდა და ვერ გაეხსენებინა, — შენთანაც აგრეა, გიგი? — მერე მე მკითხა.

— დაახლოებით.

— რა გაგიკვირდა? — მერაბმა საათი ყურთან მიიტანა და გაინაბა, — მუშაობს, ძმაო, რას ერჩი! შეიძლება, მეტიც იყოს სამზე. მთელი საუკუნე გავიდა, რაც გათენდა.

— მეც მაგას ვამბობ, — დაეთანხმა თენგიზი, — დღეა ახლა თუ ღამე?

— დღეა თუ ღამეო?

— ჰო, დღეა თუ ღამე?

— დღეა, რასაკვირველია, — გულუბრყვილოდ, მაგრამ დაბეჯითებით მიუგო მერაბმა, — ცამეტი აგვისტო. პარასკევი. გუშინ, თორმეტ აგვისტოს, ჯიმარაის მწვერვალი დავიპყარით.

— დარწმუნებული ხარ?

— მწვერვალი დავიპყარით თუ არა?

— რომ დღეს ცამეტი აგვისტოა.

მერაბს, ეტყობოდა, თავისსავე ნათქვამში ეჭვი შეეპარა, ისევ დახედა საათს და ახლა კი გაუბედავად თქვა:

— აბა, რა!

— შენ რას იტყვი, გიგი?

თენგიზის დაჟინებული შეკითხვა, რასაც მერაბის უჩვეულო აწრიალება მოჰყვა, ისე უცნაურად მომეჩვენა, პირში ნერწყვი გამიშრა და უცებ ხმაც ვერ ამოვიღე, რა უნდა მეპასუხა? თუ ჩვენს საათებს დაეჯერებოდა, მას აქეთ, რაც პირველად შევიტყვეთ, რომ ჯიმარაის ტუსაღები ვიყავით, მხოლოდ ათ საათს გაევლო. ნუთუ დრო გამოგვეპარა და ათი საათი კია არა, მეტი გავიდა?

— თოთხმეტი აგვისტოა, — ჩემს მაგიერ ისევ თენგიზმა დაარღვია კარავში გამეფებული სამარისებური სიჩუმე.

— თოთხმეტი აგვისტო? — ერთხმად წამოვიძახეთ მე და მერაბმა.

— ნაშუაღამევი. ორი საათის შემდეგ გათენდება. დამტკიცებას ვერ ვიკისრებ. დრო, მე მგონია, თავსავე აგვერია. ძალიან დაღლილები ვიყავით. დიდხანს გვეძინა. პირველად რომ საათებს დავხედეთ და გავიოცეთ, რამდენი დრო გასულაო, საღამო იყო, ცამეტი აგვისტო ღამდებოდა. ჩვენ გვეგონა, მხოლოდ თენდებაო... მას აქეთ სულ ამაზე ვფიქრობ.

— რატომ არ გაამხილე? — ჰკითხა კოპებშეკრულმა მერაბმა.

— თქმით რაიმე შეიცვლებოდა? — თენგიზი მიხვდა, ჯობდა, ეს სულაც არ მეთქვაო, მაგრამ გამომჟღავნებულ ეჭვს ველარსად გაექცა, — ახლაც არ მინდოდა... შეიძლება, კიდევაც ვცდები, რა ვიცი, — ნათქვამის მისაფუჩეჩებლად დაუმატა მან და მე გადმომხედა, — სანთელი კიდევ დაგრჩა?

— ერთი ღერი.

— ამის ჩაქრობა და შენახვა აღარ ღირს. უკვე დაილია.

— კიდევაც რომ ჩააქრო, რაღათი აანთებ, ასანთს თუ არ მოუკიდა.

— განაკრავ ღერებს ნუ გადავყრით, თუ ძმა ხარ, ვაითუ ესენიც სანატრელი გაგვიხდეს.

— ვთქვათ, მართლაც თოთხმეტი აგვისტოა, როგორც შენ ამბობ, — გალიზიანებულ ცნობისმოყვარეობას ვეღარ გავუმკლავდი და წუთის წინ შეწყვეტილი საუბარი განვაახლე, — აქვს ამას რაიმე მნიშვნელობა?

ოენგიზმა თვალი მიყო და კარვის ბნელ კუთხეში მიშტერებულ მერაბისაკენ გამახედა. ხმა მაშინვე გავკმინდე. მერაბი მწარედ იყო ჩაფიქრებული. ყოველნაირად ეტყობოდა, რომ აღარც ჩვენ ვახსოვდით და აღარც თავისი გამოუვალი მდგომარეობა.

პირველად ვნახე მერაბი ასე ულიმღამო და ფრთებშეკვეცილი. ვნახე და შემეცოდა. ჯავრის მიზეზს მერაბს ახლა ვინ არ მიუხვდებოდა. რა ბედი ეწია მამას? სად არის და რა დღეშია ციცო? აუწყეს თუ არა მთებში მომხდარი ამბავი შინ მარტოდმარტო დარჩენილ დედას? ქვედა ბანაკში ჯერ კიდევ გუშინწინ საღამოს ატყდებოდა განგაში. საღამოსვე ვერა, მაგრამ გუშინ დილას, ინათლებდა თუ არა, მაშველი ჯგუფი ჩვენი გზა-კვალის საძებნად წამოვიდოდა. ციცო, საწყალი გოგო, ალბათ, დასაბმელი გახდა. ბანაკის რადისტები უსათუოდ დაუკავშირდებოდნენ ყაზბეგის მეტეოროლოგიურ სადგურს, ხოლო ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ თბილისს გადასცემდა ჯიმარაის დასაპყრობად წასულ მთასვლელთა ჯგუფის უგზოუკვლოდ დაკარგვის ცნობას. ახლა, ვინ იცის, უკვე მთელმა საქართველომ გაიგო, რაც აგვისტოს საღამოს ჯიმარაის წახნაგზე დატრიალდა და, თუ ზემოთ, სამხეოზე, ამინდი შესაფერისია, გამოცდილი მთასვლელებისაგან შემდგარი მაშველი ჯგუფი სხვადასხვა მხრიდან ამოვიდნენ. ქედის არც ერთ ნაკეცს, გამოქვაბულს თუ კლდის ძირს მოუჩხრეკავს არ დასტოვებდნენ. მაგრამ ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ ბიჭები თოვლის ზვინის ქვეშ მოჰყვნენ და აგერ მესამე დღეს კიდევ ცოცხლები და საღსალამათნი არიან?

მთელ ამ ამბავში მერაბი ყველაზე უბედურ ადამიანად გამოიყურებოდა. ის აქ თავის მამასთან ერთად იყო. პატარა და ქვედა ბანაკში უცდიდა და როდესაც ის თავისიანების მარცხის ამბავს შეიტყობდა, იქ რითლა გააჩერებდი — თავს მოიკლავდა და პირველსავე მაშველ ჯგუფს წამოჰყვებოდა. ახალი ხიფათი ყოველ წამს მოსალოდნელი იყო...

ბაგრძელება
შემდეგ
ნომერში






ბოითე (XVIII-XIX ს. ს. გერმანელი მოაზროვნე): უსარგებლო სიცოცხლე — უდროო სიკვდილია.

ვ. ი. ლენინი: ცხოვრება წინააღმდეგობებით მიდის წინ, და ცოცხალი წინააღმდეგობანი ბევრად უფრო მდიდარი, მრავალმხრივი და შინაარსიანია, ვიდრე ადამიანის გონებას თავდაპირველად ეჩვენება.

პ. პავლენკო (საბჭოთა მწერალი): ცხოვრება—ის დღეები როდია, რომლებიც წავიდა, არამედ ისინი, რომლებიც დაგვამახსოვრდა.

სენეკა (ჩვ. წ. I საუკ. რომაელი ფილოსოფოსი, პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი): ცხოვრების შემოლება შეიძლება მხოლოდ აპათიისა და სიზარმაცის გამო.

ი. ფუჩიკი (XX საუკ. ჩეხი მწერალი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე): მიყვარდა ცხოვრება და მისი მშვენიერებისათვის ჩავები ბრძოლაში, ადამიანებო, მე თქვენ მიყვარდით და ბედნიერი ვიყავი, როცა სიყვარულითვე მპასუხობდით, და ვიტანჯებოდი, როცა ვერ მიგებდით...

ვაჟა-ფშაველა: რად მინდა უშინაარსო სიცოცხლე ოხერტიალი?

ა. ჩეხოვი: სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა და ამიტომ გვინდა მხნედ, აზრიანად, ლამაზად განვატაროთ იგი. გვინდა თვალსაჩინო, დამოუკიდებელი, კეთილშობილი როლი ვითამაშოთ, შევქმნათ ისტორია, რომ თაობებს არ ჰქონდეთ უფლება თითოეულ ჩვენგანზე თქვან: იგა არარაობა იყოო, ან კიდევ ამაზე უარესი რამ...

ფ. ძერჟინსკი: ცხოვრება მიყვარს ისეთი, როგორიც არის იგი რეალურად, თავისი მუდმივი მოძრაობით, ჰარმონიულობით და საშინელი წინააღმდეგობებით.

ა. წერეთელი: ვინც მოიხადა ამ სოფლად ვალი, ის მკვდარიც ცოცხლობს, არ არის მკვდარი.

ი. ჯავახიშვილი: ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, მწიფდება, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება— იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და სამუდამოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, წელში ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა.



# მშვენიერება დადის ქალაქში

გიორგი კაჭახიძე

ვიცი, რა გხიბლავთ, რა გიხარიათ,
ვინ ვის აგინთებთ ვარსკვლავს ამაღამ, —
მშვენიერება დიდი ხანია
ჩვენს ქალაქშიაც დადის ამაყად.

დადის საქვეყნო ეშხით განთქმული,
არ ეძნელება მთების აღებაც.
დაადუღაბა სართულს სართული,
შეკრა ხიდები მაღალ თაღებად.

უხვად ამრავლა ხე და ყვავილი,
დააძმობილა შრომას დიდება.
სადაც ფეხს ადგამს, სადაც გაივლის, —
ჭერი მაღლდება,
მიწა ბრწყინდება.

კაცის ღიმილშიც მისი შუქია,
ყველა სიამის კარის გამღები.
ის ხან ცხოვრების მზექაბუკია,
ხან — უხილავი ხელი განგების.

სიცოცხლესავით დასალოცია
ხალხის მეგობრად მისი გაჩენა.
რა გორმახები მისწი-მოსწია,
რა სილამაზის ძალა გვაჩვენა!

გზა შეამოკლა ყველა წყარომდე,
დღეებს უმრავლა მზე და ბადახში!..
ო, გიხაროდეთ,
ო, გიხაროდეთ, —
მშვენიერება დადის ქალაქში!

# პიონერული მატარებელი

ჯანსუღ ნიქაბაძე

მიჰქრის, კივის, უთენია,
მართლაც რკინის კუნთები აქვს.
გზა-გზა ცისფერ ბოლში ახვევს
წითელქუდა ოდა-სახლებს.
დაღლა სულაც არ ადარდებს,
ქალაქიდან — ქალაქამდე
გაუშლია თითქოს ფრთები,
რომ სივრცენი გადალახოს.
შორით ჩანან თეთრი მთები,
ლურჯი მთები — უფრო ახლოს;
ოდნავ მუქი სხვა მთებია,
ცისკრის შუქით ნათდებიან.
მატარებელს პატარები
ხელს უქნევენ ბაქანიდან,
ცელქი სიო გამალებით
უკან მისდევს ქაქანითა.
რაგინდ დელგმა დაჰბრუნავდეს,
სტვენით უხმობს მისიანებს,
სადგურიდან — სადგურამდე
მიგუგუნებს, მისრიალებს.





# გახსოვდეს!..

ზაურ ბოლქვაძე

სულში ანთია, გულში თესია
შუქი მამულის მზისა...
ყველა მიწაზე უტკბილესია
შენი სამშობლო მიწა.

მარადისობის ფარი, თავდები,
ერის პირველი მცველი, —
ყველა ენაზე გამოსადეგი,
დედაენაა შენი!

ყველა ზრუნვაზე ძვირფასი არის
ზრუნვა მშობელი დედის...
იმედად ნათობს მარად მზიანი
გამზრდელის თბილი მკერდი.

სადაც არ უნდა წახვიდე, გული
დედას ეძახის, ითხოვს...
და შენს სიცოცხლეს დარაჯობს, უცლის
მამის მარჯვენის სითბო.

თუნდ ამხანაგი ათასი გყავდეს,
ანდა ათასზე მეტი,
გაჭირვებაში, ყველაზე ადრე,
ძმა დაგიდგება გვერდით.

შენი ტკივილით, ყველაზე მეტად,
დას ეტკინება გული,
ყველაზე ადრე გაჩნდება შენთან,
იგრძნობს შენს ფიქრს და სურვილს.

გახსოვდეს: ერის მერმისი დღე ხარ,
ხალხი იმედად გელის;
ყველაზე ლამაზ სიცოცხლით ქვეყნად,
მიწა გაცოცხლებს შენი!

სადაც იშვი და აიდგი ფეხი,
გულიც იმ კუთხით თბება.
ყველაზე მეტად შენ შენი ქვეყნის
შენება დაგშვენდება!

სანამდე გადევს მამულის ვალი,
გწამდეს, ვერ მოისვენებ...
ყველაზე უფრო, სამშობლო მხარის
ხიმღერებს მოგისმენენ!

თუ შენი გული ერისთვის ფეთქავს,
გაწუხებს ბედი მისი,
ალალ სიყვარულს, ყველაზე მეტად,
შენივე ხალხი გიძღვნის!

თუ გსურს მომავლის დიდი სინათლით
გზა მოგეფინოს ფართე,
ყველაზე მეტად, შენი წინაპრის
პატივისცემა გმართებს!

თუ ივლი სწავლის, ძიების გზებით
და ოფლს შრომაში დაღვრი,
ქვეყნად ყველაზე მართალი ქებით
შეგაქებს შენი ხალხი!

თუ ხალხს ეკუთვნი სისხლით და ხორცით,
თუ ხარ სიკეთის მფენი,
ქვეყნად ყველაზე მხურვალე ლოცვით
ერი დაგლოცავს შენი!

თუკი სამშობლოს ამაღლებ ცამდე,
მთების დაპყრობა გშვენის,
მაშინ ყველაზე მაღალ ძეგლს, გწამდეს,
ხალხი აგიგებს შენი!

ნიჭსა და შრომას, ყველაზე მეტად,
მამული დაგიფასებს!
ასე ყოფილა ოდითგან ეს და
მარად იქნება ასე.

მხატვარი დიმიტრი ხარაფიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა







ქალღმერთის — ათენა პრომაქოსის ბრინჯაოს ცხრა მეტრი სიმაღლის კოლოსალური გამოსახულება. შუბითა და ფარით შეიარაღებული, იგი იდგა, როგორც ათენის სახელმწიფოს ძლიერების განსახიერება. აქვე დაიდგა ფიდიასის მიერ შექმნილი ამავე ქალღმერთის მეორე ქანდაკება, ე. წ. „ათენალემნია".

არაჩვეულებრივად გაიზარდა ფიდიასის პოპულარობა საბერძნეთში, იგი თავისი დროის უდიდეს მოქანდაკედ იყო აღიარებული. მას დაევალა უდიდესი მნიშვნელობის ხამუშაო — ათენის აკროპოლისის მთელი რეკონსტრუქციის ხელმძღვანელობა. ფიდიასის დროს აიგო აკროპოლისის ერთერთი უდიდესი ნაგებობა — პართენონი, რომელიც მიეძღვნა ქალღმერთ ათენას. პართენონი 447-432 წლებში (ძვ. წ.) ააგეს ხუროთმოძღვრებმა იქტინმა და კალიკრატემ ამ ტაძარში უნდა დადგმულიყო ათენა პართენოსის ქანდაკება. არჩევანი კვლავ ფიდიასზე შეჩერდა.

ქალღმერთის თორმეტმეტრიანი, დიდებული ქანდაკება დაიდგა აკროპოლისის მთავარი ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში და კარგი შესამჩნევი იყო ტაძარში შემსვლელთათვის. ათენა იდგა ამაყად, თავზე მუზარადი ეხურა, ტანთ პეპლოსი ემოსა. გაწვდილ მარჯვენა ხელში გამარჯვების ქალღმერთის ნიკეს გამოსახულება ჰქონდა, მარცხენათი ვეება ფარს ეყრდნობოდა, მარცხენა მხარზე შუბი ჰქონდა მიყუდებული. ქანდაკება ხისა იყო, სახე და სხეულის ნაწილები სპილოს ძვლის თხელი ფირფიტებით იყო დაფარული, დანარჩენი კი ოქროსი გახლდათ. ოქროსა და სპილოს ძვლისაგან შესრულებულ ამგვარ ქანდაკებას „ქრიზოელეფანტინური" ეწოდებოდა.

ათენას ფარზე გამოსახული იყო ბერძნებისა და ამორძალების ბრძოლის რთული ჰედური კომპოზიციები. გადმოცემით, ფიდიასს აქ გამოუხატავს თავისი და პერიკლეს სახეები.

ფიდიასის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე ანტიკური ხელოვნების კიდევ ერთი საოცრება — ზევსის ქანდაკება ოლიმპოს ტაძარში. ისიც, ათენა პართენოსის მსგავსად, დაიღუპა და მის შესახებ მსჯელობა მხოლოდ ძველ ბერძენ ავტორთა გადმოცემით და მონეტებზე შემორჩენილი გამოსახულებებით შეიძლება. 18 მეტრი სიმაღლის ოლიმპიელი ზევსის ქანდაკებაც ქრიზოელეფანტინის ტექნიკით იყო შესრულებული. ცხენზე ამხედრებული ღმერთის ქანდაკება მნახველებს ხიბლავდა ოქროს, სპილოს ძვლისა და ძვირფასი ქვების ბრწყინვალებით.

ანტიკური ეპოქის მწერლები ერთხმად აღნიშნავდნენ ზევსის ამ ქანდაკების არაჩვეულებრივი ზემოქმედების ძალას. ძალზე დიდი ზომისა და თვალისმომჭრელი ბრწყინვალების მიუხედავად, მოქანდაკემ შესძლო ზევსის სახე უაღრესად ადამიანური გრძნობით გაეთბო. გადმოცემის თანახმად, რაგინდ დამწუხრებული არ უნდა ყოფილიყო ადამიანი, ზევსის სახის ხილვა მას უდიდეს სიმშვიდეს ჰგვრიდა.

ფიდიასის ქანდაკებებში გამოვლინდა ძვ. წ. V საუკუნის ბერძნული ხელოვნების ყველაზე მოწინავე, ყველაზე ჰუმანური ტენდენციები. ფიდიასმა შექმნა ხელოვნება, რომელშიც თავი მოუყარა ყოველივე პროგრესულს, რაც კი შეუქმნია ადრეული კლასიკის ხელოვნებას საბერძნეთში.

ფიდიასის თანამედროვე მოქანდაკის პოლიკლეტეს ხელოვნებაში მთელი სისავსით გამომჟღავნდა მაღალი კლასიკის მისწრაფებები და იდეები. მისი შემოქმედება გარკვეულ ახალ ეტაპს წარმოადგენდა ბერძნული ხელოვნების განვითარებაში. პოლიკლეტე დაიბადა დაახლოებით ძვ. წ. 480 წელს. მისი მასწავლებელი იყო ცნობილი მოქანდაკე აგელადი, რომლის სახელოსნოში გაიზარდა პოლიკლეტეს უფროსი თანამედროვე მირონიც.

თავდაპირველად პოლიკლეტეს იტაცებდა შეჯიბრებაში გამარჯვებულ სპორტსმენთა სახეების შექმნა. განსაკუთრებული სახელი გაუთქვა მას „დორიფორმა" — შუბის ტყორცნაში გამარჯვებული ჭაბუკის ქანდაკებამ. „დორიფორი" ბერძენი ჭაბუკებისათვის მაგალითი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, მის ასლებს დგამდნენ პალესტრებზე — სტადიონებზე, სადაც ბერძნები უმეტეს დროს ატარებდნენ.

„დორიფორი" გამოსახავს ძლიერი აგებულების, კუნთმაგარ ათლეტს, რომელსაც მარცხენა მხარზე შუბი აქვს გადებული. სხეული იმდენად ჰარმონიული და პროპორციულია, რომ ბერძნები ამ ქანდაკებას კანონს უწოდებდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ იგი ყველაზე მეტად უახლოვდება იმ ნორმას, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდნენ მოქანდაკეები. „დორიფორში" დიდი ოსტატობითაა გადმოცემული მოძრაობა. პოლიკლეტეს, როგორც მის წინამორბედ მოქანდაკეებს, შენიშნული ჰქონდა სხეულის ნაწილების შეთანხმებული მოძრაობა — მარჯვენა ფეხის წინ წამოწევას შეესაბამება მარცხენა მხრის აწევა, და — პირიქით. სხეულის ამგვარი მდგომარეობა „ქიაზმოსის" სახელითაა ცნობილი.

მთელი თავისი სიცოცხლე პოლიკლეტემ ადამიანის სხეულის სრულყოფილი პროპორციების შესწავლას მოახმარა. „დორიფორს" მან საფუძვლად მკაცრი მათემატიკური გაანგარიშება დაუდო. მოქანდაკეს დაწერილი ჰქონდა წიგნი „კანონი", რომელშიც პოლიკლეტე ქანდაკების პირველ თეორეტიკოსად გვევლინება. სამწუხაროდ, ამ ნაშრომმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მაგრამ პოლიკლეტეს აზრები უკვდავყოფილია მის ქანდაკებებში.

სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნილი ქანდაკება „დიადუმენოსი" გამოხატავდა ჭაბუკს, რომელიც გამარჯვებულის თავსაკრავს იკეთებს თავზე. ეს ქანდაკება „დორიფორისაგან" განსხვავდება უფრო დახვეწილი პროპორციულობით და მოძრაობის მეტი სიმსუბუქით, კონტურის მოქნილი ხაზით, ფეხების გართულებული მოძრაობით.

პოლიკლეტემ მონაწილეობა მიიღო კონკურსში ამორძალის ქანდაკების შესაქმნელად. კონკურსში მონაწილეობდნენ ცნობილი ბერძენი მოქანდაკეები; გამარჯვება პოლიკლეტეს „დაჭრილმა ამორძალმა" მოიპოვა.

დაჭრილი მებრძოლი ქალის ქანდაკება უაღრესად მარტივი და მეტყველია. ტკივილის გრძნობას გამოხატავს არა სახის გამომეტყველება, არამედ პოზა, ულონოდ დახრილი თავი, მარჯვენა ხელის უსიცოცხლო ჟესტი. აქაც ისევე როგორც პოლიკლეტეს ყველა ქანდაკებაში, გრძნობები გადმოცემულია სხეულის პლასტიკით, ფიგურის მოძრაობით.

IV საუკუნე (ძვ. წ.) ძველი ბერძნული ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს. ამ ეპოქის გამოჩენილი მოქანდაკეები — სკოპასი, პრაქსიტელე, ლისიპე — მთავარ ამოცანად ისახავდნენ ადამიანის განცდების, მისი სულიერი სამყაროს გახსნას. ეს უკვე სრულიად განსხვავებული ამოცანაა, რომელიც V საუკუნის ხელოვნების წინაშე არც კი მდგარა. ამ პერიოდის ბერძნული ხელოვნება გვიანი კლასიკის სახელითაა ცნობილი.

IV საუკუნის პირველი ნახევრის უდიდესი ოსტატი სკოპასი თა-

ვის შემოქმედებაში განასახიერებს გმირებს, რომელთაც არაჩვეულებრივი სულიერი დაძაბულობა, მგზნებარება ახასიათებთ. კლასიკურ მოქანდაკეთაგან მან პირველმა ამჯობინა მარმარილო ბრინჯაოს. მარმარილო უფრო თბილი და ცოცხალი მასალა იყო შუქ-ჩრდილის რბილი გადასვლებით, სხვადასხვა ფაქტურული ეფექტების უკეთესი გადმოცემით.

სკოპასის „მ ე ნ ა დ ა“ ცეკვის ექსტაზში შესული მგზნებარე ქალია, უკან გადაგდებული თავით, მხრებზე გაშლილ თმის ტალღებით; მოკლე ქიტონის მკვეთრი ნაკეცები ხაზს უსვამენ მოძრაობის სიმძაფრეს V საუკუნის ქანდაკებები თუ მხოლოდ ერთი წერტილიდან აღსაქმელად იყვნენ გაწყობილნი, სკოპასის „მენადა“ ყოველ მხრიდან ერთნაირად მოქმედებს მნახველზე. ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ქანდაკების განვითარებაში.

სკოპასის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევართაგანია მისი გვიანი რელიეფები ბერძნებისა და ამორძალების ბრძოლის სცენებით, რომელიც მან ლიფარნასის მავზოლეუმისათვის შეასრულა. შუქისა და ჩრდილის კონტრასტები, უაღრესად დაძაბული რიტმი მოძრაობისა, ბრძოლის სიმძაფრე ქმნის დრამატულად ძალზე მეტყველ რთულ კომპოზიციას. მებრძოლთა ძლიერი, კუნთოვანი სხეულებისა და ამორძალების ნატიფი, მსუბუქი სხეულების დაპირისპირება განსაკუთრებით აძლიერებს შთაბეჭდილებას.

სკოპასის მძლავრმა, დრამატულმა ხელოვნებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მისი დროის ბერძნულ ქანდაკებაზე.

სკოპასის თანამედროვე იყო ქანდაკების მეორე დიდოსტატი პ რ ა ქ ს ი ტ ე ლ ე. რომლის მთავარი მიზანია ადამიანის სულიერი სიმდიდრის, სულიერი სილამაზის სრულად გადმოცემა. ღვთაებებისა და სხვადასხვა მითოლოგიური პერსონაჟების სახით იგი გამოსახავს ჩვეულებრივ ადამიანებს, რომელთათვისაც ადამიანური გრძნობები და განცდები უცხო არ არის.

პრაქსიტელეს ნიჭი მთელი სიძლიერით გამომჟღავნდა მის ორ ქანდაკებაში: „ჰ ე რ მ ე ს ი დ ი ო ნ ი ს ე ს თ ა ნ ე რ თ ა დ“, და „ა ფ რ ო დ ი ტ ე კ ნ ი დ ე ლ ი“. ჰერმესის ქანდაკების სახით მოქანდაკემ შესძლო შექმნა არაჩვეულებრივად მეტყველი სახე მშვენიერი ჭაბუკისა, რომელიც განასახიერებდა IV საუკუნის მაკაცური სილამაზის იდეალს. პოლიკლეტეს შუბიანი კაცის ფორმები ახლა უკვე მძიმე და ტლანქი ეჩვენებათ; პროპორციები უფრო დახვეწილი და მსუბუქი გახდა. მითოლოგიური სიუჟეტი აქ გადმოცემულია, როგორც ჩვეულებრივი ადამიანური სცენა: დაღლილი ჭაბუკი—ჰერმესი. რომელსაც მკლავზე ყრმა დიონისე უზის, წამით შეჩერებულა გზაში და ხეს მიყრდნობია. მარჯვენა ხელში (ამჟამად დაზიანებულში) ჰერმესს ყურძნის მტევანი ეკავა, რომლისკენაც მიიწევდა ბავშვი დიონისე.

პრაქსიტელემ სრულყოფილად გამოიყენა მარმარილოს პლასტიკური თვისებები. იგი ამ მასალის საშუალებით გადმოსცემდა შუქ-ჩრდილის ურთულეს თამაშს სხეულის ზედაპირზე.

მიუხედავად იმ სიახლისა, რომელიც გააჩნდა სკოპასისა და პრაქსიტელეს ხელოვნებას, თავისი პრინციპებით ისინი მაინც მაღალ კლასიკის ხელოვნებასთან იყვნენ დაკავშირებულნი. რაც შეეხება IV საუკუნის (ძვ. წ.) მეორე ნახევარს, ამ პერიოდის ქანდაკებაში უკვე იგრძნობა ამ კავშირის დასუსტება და ხშირ შემთხვევაში — გაქრობაც კი. მოქანდაკეები ახლა ქმნიან გარკვეულად იდეალიზებულ სახეებს, კლასიკურ ტრადიციებს ზედაპირულად იყენებენ, მთავარი ხდება შესრულების ტექნიკური ხარისხი, გარეგნული სილამაზე. ამის მაგალითია მოქანდაკე ლ ე ო ქ ა რ ი ს მიერ შექმნილი აპოლონის ქანდაკება, ე. წ. „ბ ე ლ ვ ე დ ე რ ე ლ ი ა პ ო ლ ო ნ ი“. მოქანდაკემ აქ გამოამჟღავნა ვირტუოზული ოსტატობა, მაგრამ ეს ოსტატობა უფრო გარეგნული ეფექტის შექმნას მოხმარდა.

გვიანი კლასიკის უკანასკნელი დიდოსტატი იყო ლ ი ზ ი პ ი, მისთვის მთავარია არა იდეალური, სრულყოფილი ადამიანის გამოსახვა, არამედ ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებების ხაზგასმა. ლიზიპის ქანდაკებების პერსონაჟები იდეალური გმირები კი არა, ჩვეულებრივი ადამიანები არიან. ახეთია მისი ცნობილი ბრინჯაოს ქანდაკება „ა პ ო ქ ს ი ო მ ე ნ ი“. იგი წარმოადგენს ჭაბუკს. რომელიც შეჭიბრების მერე საფხეკით ქვიშას და ტალახს იშორებს სხეულიდან. თქვენ თითქოს გრძნობთ, თუ რა ძნელი ბრძოლის გადატანა მოუხდა ამ დაღლილ ჭაბუკს. სხეული მოძრაობითაა გამსჭვალული, ყოველი ხედვის წერტილი ახლებურად წარმოგვიდგენთ მას.

ლიზიპს დიდი დამსახურება მიუძღვის ბერძნული პორტრეტის განვითარებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მისი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი ს პორტრეტები. იგი ცდილობს გადმოსცეს არა მარტო პორტრეტული მსგავსება არამედ, გმირის რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნება. გადაწეული თავი ნაოჭებით დაღარული შუბლი, მწუხარე მზერა —ყველაფერი ეს ქმნის დიდი შინაგანი დაძაბულობის სურათს.

ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო—დასასრულია ბერძნული კლასიკის ხანგრძლივი განვითარების პერიოდისა. კლასიკურმა ხელოვნებამ, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს ქანდაკება წარმოადგენდა. შექმნა მხატვრული საგანძური და იგი, საუკუნეების მანძილზე, მთელი კაცობრიობის აღტაცებას იწვევს; მან ჩვენამდე მოიტანა ადამიანის მადიდებელი ხელოვნების მთელი სითბო და სიძლიერე.



პოლიკლეტე. დორიფორი.

# ის არ არის ობოლი


**მარჯორი კინან როულინგსი**

ამერიკელი მწერალი ქალი


მხატვარი პ. პინკისევიჩი

ბავშვთა თავშესაფარი მაღლა, ფლორიდის მთებში მდებარეობს. ზამთრობით იქ ისეთი თოვლი იცის, რომ თავშესაფრის მცხოვრებნი მთლიანად მოსწყდებიან ხოლმე მახლობელ სოფელს, მთელ ქვეყნიერებას. ამ დროს მთის მწვერვალებს ჯანღი ეხვევა, ველებზე ქარბუქი თარეშობს. ეზოში გამოსვლისას ბავშვებს სიცივისაგან ხელები აზრებათ.

იმ არე-მარეში შემოდგომაზე მომიხდა ყოფნა. სიმშვიდეს და განმარტოებას ვეძებდი, რომ დამემთავრებინა ერთი გაჯანჯლებული სამუშაო. იმასაც ვფიქრობდი, ეგებ მთის ჰაერმა განმკურნოს-მეთქი ციებისაგან, ტროპიკებში ხანგრძლივი ცხოვრების დროს რომ შემეყარა. ესეც არ იყოს, ძალიან მომენატრა შემოდგომაზე აბრიალებული ნეკერჩხლები, ოქროსფერი ძნები, დამწიფებული გოგრები, მთის ფერდობებზე შეფენილი თხილნარები, ეს ყველაფერი ხელახლა ვპოვე, როცა თავშესაფრის ფერმის მახლობლად, პატარა სახლში დავბინავდი. ეს სახლიც თავშესაფარს ეკუთვნოდა. ბინა რომ დავიქირავე, მეპატრონეს ვთხოვე, შეშის დასაპობად ბიჭი გამოეგზავნა.

ერთ საღამოს საბეჭდ მანქანას ვუჯექი. თავი რომ ავიღე, განვცვიფრდი — კარებთან ერთი ცოტა ბიჭი იდგა. ჩემი ერთგული პოინტერი კი მის გვერდით ჩაცუცქულიყო და ხმასაც არ იღებდა! ბიჭი თორმეტი წლისა თუ იქნებოდა, ფეხშიშველი იყო, სამუშაო კომბინეზონი და დახეული ხალათი ეცვა.

— მე შეშის დასაპობად მოვედი.

— შენ? ასეთი პატარა?!

— შეშის დაჩეხვას სიმაღლე არ სჭირდება, — თქვა მან. — ზოგიერთმა დიდმა ბიჭმა სულაც არ იცის შეშის დაპობა. მე კი, უკვე დიდი ხანია, ამ საქმეს მივსდევ.

წარმოვიდგინე დაჩორკნილი, დაქუცმაცებული შეშა, რომლითაც ბუხარი უნდა დამენთო. მაგრამ აღარ შევედავე და წყნარად ვუთხარი:

— კეთილი. აი, ცული. მიდი და სცადე.

ბიჭს კარი მივუხურე და მანქანას მივუჯექი. ჯერ — ტოტების აქეთ-იქით თრევის ხმაური მომესმა ხელ[illegible], მერე — ცულის დარტყმის ხმა. თითოეული დარტყმა [illegible] იყო, თანაბარი. ყური ამ ხმას მალე მიეჩვევა, [illegible] რომ, მე-ლოს ველარც ვამჩნევდი, როგორც [illegible] [illegible] ერის ვერ ამჩნევს კაცი. სანამ [illegible] ერთი საათი გავიდა. პარმაღზე რომ გავედი, მზე უკვე ჩასვლას ეპირებოდა. შემოგარენი მეწამულისფრად შეღებილიყო.

ბიჭი მომიახლოვდა.

— ჩემი ვახშმობის დრომაც მოატანა. ხვალ საღამოს კიდევ შემიძლია მოვიდე.

— მოდი დღევანდელ გასამრჯელოს მოგცემ. საათში ათი ცენტი საკმარისია? — ვუთხარი და თან გავიფიქრე — შემდეგისათვის ვთხოვ მეპატრონეს, უფრო დიდი ბიჭი გამომიგზავნოს-მეთქი.

— როგორც გნებავთ.

ორივენი სახლს უკან გავედით. ბიჭს დაჩეხილი შეშის გორა დაეყენებინა.

— ღმერთო ჩემო! შენ მართლა დიდი კაცივით მუშაობ! — შევძახე მე. — რა კარგად დაგიჩეხია!

მხოლოდ ახლა დავაცქერდი ბიჭს ყურადღებით. თავთუხისფერი თმა ჰქონდა, თვალები ფართოდ გახელილი, ისეთი ფერისა, მთაში რომ დაჰკრავს ცას წვიმის წინ — ნაცრისფერშერეული ლურჯი. ჩემს შექებაზე სახე გაებადრა, გეგონებოდათ, ჩამავალმა მზემ გაანათაო.

— ხვალ მოდი, — ვუთხარი მე და მონეტა გავუწოდე. — დიდად გმადლობ.

ბიჭმა შემათვალიერა, მონეტას დახედა და შებრუნდა. მერე დარცხვენით ჩაილაპარაკა:

— ხვალ კვარსაც დაგიჩეხავთ, თქვენ ხომ კვარიც დაგჭირდებათ.

ალიონზე ცულის ხმამ გამომაღვიძა. სანამ ავდგებოდი, ბიჭს დაპობილი შეშა სახლის კედელთან კოხტად დაეწყო და წასულიყო. გაკვეთილების შემდეგ ისევ მომაკითხა და ვახშმობამდე წაიმუშავა.

ბიჭს ჯერი ერქვა. თორმეტი წლისა იყო. თავშესაფარში თურმე ოთხი წლიდან ცხოვრობდა. სულ ადვილად წარმოვიდგინე, როგორი იქნებოდა იგი ოთხი წლისა: ასევივე ლეგა-ცისფერი თვალები, ასეთივე უშუალობა, უფრო სწორად — უანგარობა.

ჩემთვის ეს სიტყვა მრავლისმთქმელია. უანგარობა მცირეთა ხვედრია. ეს თვისება მამაჩემს ჰქონდა: მგონი კიდევ ერთ კაცს უნდა ჰქონდეს მათ გარდა, თითქმის არც ერთ ჩემს ნაცნობ მამაკაცს არ გააჩნია არც სიწმინდე და არც უეშმაკო სიმკაცრე. ჯერის კი ჰქონდა ეს თვისება. ვაჟკაცობაც და კიდევ ვაჟკაცობაზე რაღაც მეტი; პატიოსნება და რაღაც უფრო მეტი, ვიდრე პატიოსნება.

ერთ მშვენიერ დღეს ცულს ტარი გაუტყდა. ჯერიმ მითხრა, თავშესაფრის სადურგლოში შეაკეთებენო. ფულის გამოტანა დავაპირე, მაგრამ ბავშვმა უარი განაცხადა:

— თვითონ გადავიხდი, ეს ხომ მე გავტეხე. ძალიან მაგრად დავარტყი.

— ხომ ვერ გამოზომავ თითოეულ დარტყმას, — შევეკამათე მე. — თანაც ტარი მყიფე ყოფილა. მე ამას ვაჩვენებ იმ კაცს, ვისგანაც ცული ვიყიდე.

მხოლოდ ამის მერე გამომართვა ფული ჯერიმ.

ბიჭი მრავალ სამსახურს მიწევდა, რომელიც მის მოვალეობაში არ შედიოდა. ამას მარტო წმინდა გულით თუ აკეთებენ. ერთხელ მან ვერის უკან ღრმული აღმოაჩი-



ნა და მერე იქ დაიწყო, — ვინცობაა ამინდი შეცვლილიყო, მშრალი საწვავი იქვე მქონოდა.

ჩემს მცირე საჩუქრებს — კამფეტებს თუ ვაშლებს — ისე იღებდა, როგორც მის პუთვნილს. მადლობასაც არ მეუბნებოდა, რადგან მისი მადლიერება, ისევე, როგორც მისივე თავაზიანობა, ინსტინქტური იყო. ჯერის თვალების კამკამა ჭაში რომ ჩაგეხედათ, იქ უანგარობის მყარი გრანიტიდან გამოყვანილ სინაზესა და მადლიერებას შეამჩნევდით.

რა საბაბს არ იგონებდა ჩემთან მოსასვლელად. აბა, როგორ გაგაგდებდი! ეს ხომ იგივე იქნებოდა, მშიერს პური არ მისცე. მხოლოდ ერთხელ ვუთხარი გადაკრულად, — უმჯობესია საღამოობით მეწვიო-მეთქი. მას შემდეგ იგი მოთმინებით ელოდა საბეჭდი მანქანის ჩაჩუმებას. ერთხელ, მუშაობაში ისე გავერთე, რომ დაბინდებამდე თავი არ ამიღია. ჯერი სულაც არ გამხსენებია. გარეთ რომ გამოვედი, ბინდ-ბუნდში ტანმორჩილი ადამიანი დავლანდე. იგი თავშესაფრის მხარეს გაუჩინარდა. კარის ზღურბლზე ჩამოვჯექი. ჯერ კიდევ თბილი იყო ის ადგილი, სადაც ბიჭი მჯდარა.

ჩემს პონტერს ჯერი ხელად დაუმეგობრდა. საოცარია, რა უცებ უგებენ ერთმანეთს ძაღლები და ბავშვები.

ერთხელ სხვაგან წასვლა დავაპირე. — შაბათი და კვირა დღე შინ არ ვიქნებოდი და გადავწყვიტე პეტი ჯერისთვის ჩამებარებინა. [illegible] ძაღლის საბელი, სასტვენი და ოთახის გასაღებები ვაჩვენე, სად ინახებოდა სალაფავი. შევთანხმდით — დღეში სამჯერ მოსულიყო, ძაღლისთვის ეჭმია და გაესეირნებინა. ვვარაუდობდი, კვირა საღამოს დავბრუნდებოდი. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჯერი ძაღლს სეირნობის შემდეგ დააბინავებდა, ოთახის გასაღებს კი დათქმულ ადგილას დატოვებდა. მაგრამ კვირა საღამოს მთის გზაზე ნიაღვარი მუხანათურად ჩამოწვა და მეც წამოსვლა ველარ გავბედე. ორშაბათს რომ დავბრუნდი, ყველაფერი რიგზე დამხვდა, ძაღლიც მაძღარი იყო. ნასადილევს კი შეშფოთებულმა ჯერიმ მოირბინა.

— უფროსმა თქვა, ასეთ ბუროსში ვერცერთი მანქანა გზას ვერ გაიკვლევსო. ამიტომ, ამ დილით პეტს ჩემი საუზმე მოვუტანე. სანამ ძაღლი ჩემთანაა, არაფერი გაუჭირდება. შეგეძლოთ, მშვიდად ყოფილიყავით, — მითხრა ბიჭმა.

— მე სრულიად მშვიდად ვიყავი.

ჯერი თავშესაფარში წასვლას ჩქარობდა, რაღაც სამუშაო ჰქონდა დასამთავრებელი. ერთი დოლარი მივეცი; უხმოდ გამომართვა და წავიდა დაბინდებისას ისევ მომიკაკუნა კარზე.

— შემოდი, ჯერი, — შემოვიპატიჟე მე. — ასე გვიან თავშესაფარიდან გასვლის ნებას გაძლევენ?

— მე, მგონი, მოვატყუე ისინი, — შეკრთა ბავშვი. — ვუთხარი რომ თქვენ ჩემი ნახვა გინდათ.

— შენ ხომ იცი, რომ ეს მართლაც ასეა, — დავამშვიდე ბიჭუნა და მანაც შვებით ამოისუნთქა.

— მომიყევი, როგორ უვლიდი ძაღლს.

ბიჭმა ცეცხლის პირას, იატაკზე მოირთხა ფეხი და მოყოლა დაიწყო: ძაღლი გვერდით მიუცუცქდა.

—მთელი ეს დღეები ჩვენ სულ ერთად ვიყავით — ჰყვებოდა ჯერი. — მხოლოდ ერთხელ გამექცა, ბუჩქებში შევარდა. მას, რატომღაც, ბუჩქებში სუნსული უყვარს. მერე გორაკზე ვირბინეთ მე მაღლა ბალახში ჩავიმალე. მაგრამ პეტმა მაშინვე მიაგნო ჩემს კვალს და აყეფდა. როცა მიპოვა, სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდა.

ერთ ხანს ორივენი უხმოდ მივჩერებოდით ცეცხლს. დიდ სიმშვიდეს განვიცდიდით ერთად ყოფნით.

— ვაშლის ხის შეშაა, — თქვა ჩაფიქრებულმა ჯერიმ, — ამიტომ იწვის ასე ლამაზად.

მერე, უეცრად, ისეთ რამეზე დაიწყო ლაპარაკი, რაზედაც ადრე კრინტს არ სძრავდა და არც მე ვეკითხებოდი ხოლმე.

— თქვენ ცოტათი დედაჩემს ჩამოჰგავხართ, — მითხრა მან, — განსაკუთრებით ცეცხლის შუქზე.

— მაგრამ, შენ ხომ სულ ოთხი წლის იყავი, როცა აქ მოხვედი, ჯერი. ნუთუ გახსოვს დედა?

— იგი მენვილში ცხოვრობს, — თქვა ჯერიმ.

არ ვიცი რატომ, მაგრამ იმის გაგებამ, რომ მას დედა ცოცხალი ჰყოლია, შემაძრწუნა და ცუდ გუნებაზე დამაყენა. თუმცა ეს არცაა გასაკვირი: მე ქალის საქციელმა

ალმაშთოთა, ასე რომ მიატოვა თავისი შვილი! თანაც ისეთი ბიჭი, როგორიც ჯერია! მართალია, აქაური თავშესაფარი არაა ურიგო, არც აღმზრდელები არიან კაპასნი, საჭმელსაც არა უშავს, დაბეული ხალათიც არაა დიდი უბედურება, მით უმეტეს, როცა ბავშვები ფიზიკურად მუშაობენ, მაგრამ ნუთუ იმ ქალს არ ენატრება თავისი ნაზი აკვნელების ბიჭუნა, მისი ფართოდ გახელილი თვალები? მინდოდა ათასი შეკითხვის მიცემა ჯერისთვის, მაგრამ თავი შევიკავე — არ ვაწყენინო-მეთქი.

— რაც აქ მოხვედი, მას მერე როდისმე გინახავს დედა, ჯერი?

— მე მას ყოველ ზაფხულს ვნახულობ. კაცს გზავნის ხოლმე ჩემს წასაყვანად.

კინაღამ შევყვირე: „უკან რაღას გაგზავნის-მეთქი!"

— როცა საშუალება აქვს, ყოველთვის ჩამოდის, — განაგრძო ჯერიმ, — ახლა კი უმუშევარია.

ცეცხლის შუქზე ჯერის თეთრ-მკრთალ სახეს ვარდისფერი დაჰკრავდა.

— დედას ჩემთვის ლეკვი უნდა ეჩუქებინა, მაგრამ თავშესაფარში ცხოველების ყოლას გვიშლიან. გახსოვთ ის კოსტიუმი, ეგერა დღეს რომ მეცვა? — მკითხა ამაყი გამომეტყველებით, — ის დედამ საშობაოდ გამომიგზავნა. წარსულ შობას კი, — აღტაცებით დაუმატა მან, — ციგურები მაჩუქა.

— გორგოლაჭებიანი?

ვცდილობდი, გონების თვალით წარმომედგინა ის ქალი. გამემართლებინა კიდეც: განა შეიძლება გაამტყუნო ადამიანი, თუ არ იცი მთელი მისი ცხოვრება?!

— დიახ, გორგოლაჭებიანი. ბიჭებს ვაძლევ ხოლმე სასრიალოდ, ისინი მათ ფრთხილად ხმარობენ. იმ დოლარით, თქვენ რომ მომეცით, მინდა დედას ხელთათმანები ვუყიდო.

მე მხოლოდ ამის თქმაღა შევძელი:

— ჩინებულია. იცი კი, რა ზომისა უნდა?

— მგონი რვანახევარი, — თქვა მან და ხელებზე დაიხედა. — თქვენ რვანახევარს ატარებთ?

— არა, ექვსს.

— მაშასადამე, დედას თქვენზე დიდი ხელები ჰქონია.

მძულდა ის ქალი. სიღარიბე სიღარიბეა, მაგრამ არა მარტო პურითა ერთითა ცოცხლობს ადამიანი. ის ქალი თავისთვის, არხეინად ცხოვრობს მენვილში და შვილისათვის საშობაოდ მხოლოდ ციგურების გამოგზავნას სჯერდება. ბიჭი კი ოცნებობს ხელთათმანებზე, მისი ტიტუცური ხელებისათვის!

— როგორ ფიქრობთ, ერთ დოლარად იყიდის კაცი თეთრ ხელთათმანებს? — მკითხა ჯერიმ.

— მე მგონი, კი.

მაშინვე გადავწყვიტე, გამგზავრების წინ ჯერის დედა მენახა, გამომერკვია, რატომ მოექცა ასე თავის შვილს.

სამწუხაროდ, ჩვენი ფიქრები ზოგჯერ ბაბუაწვერას თესლივით იფანტებიან. სამუშაო რომ დავამთავრე, ნამუშევრით უკმაყოფილო დავრჩი. აშკარა იყო, დაწერილის შესავსებად მექსიკაში გამგზავრება მომიხდებოდა. სწრაფად შევუდექი გამგზავრებისათვის მზადებას. მენვილში, ჯერის დედასთან წასასვლელი დრო, რა თქმა უნდა, ვეღარ გამოვძებნე. ახლა მე, საერთოდ, ჩემს სამუშაოზე და მომავლის გეგმებზე უფრო მეტს ვფიქრობდი, ვიდრე ჯერიზე. იმ ამბავმა, რომ მას მენვილში დედა ჰყავდა, რამდენადმე გამიადვილა ჯერისთან განშორება.

რაკი უთვისტომო არ იყო, შემეძლო აღარ მეზრუნა მასზე.

ბიჭუნა კი, წინანდებურად, ყოველდღე მნახულობდა, შეშას მაპობდა, წვრილმან საქმეებს [illegible] დღეები დაიჭირა და ხშირად [illegible] ცეცხლის პირას, იატაკზე წამოწვებოდა, [illegible] ინტერს გადახვევდა და, ჩემი სამუშაოს დამთავრების მოლოდინში, ორივენი სთვლემდნენ. მზიან ამინდში ისინი გორაკებზე დარბოდნენ.

ასტრა რაბანია დაჭკნა. ჯერის ახლა ნეკერჩხლის ალისფერი ტოტები და წაბლის საოცრად ყვითელი ფოთლები მოჰქონდა ჩემთვის.

ახლოვდებოდა გამგზავრების ჟამი.

— ჯერი, — ვუთხარი გამგზავრების წინა დღეს, — ხვალ მივდივარ. შენ ჩემი კარგი მეგობარი იყავი. ხშირად მოგიგონებ ხოლმე.

მას არაფერი უთქვამს, შეტრიალდა და წავიდა. ნამგალა მთვარის შუქზე ვხედავდი, როგორ ნელ-ნელა ადიოდა გორაკზე. მეორე დღეს ბარგის შეკვრამ და მანქანაში ჩაწყობამ დიდი დრო წამართვა. ბოლოს, როცა ქოხი დავკეტე და ძრავა ჩავრთე, მზე უკვე გადახრილიყო. უნდა ავჩქარებულიყავი, რათა დღის სინათლეზე ჩამევლო მთის გზა. თავშესაფარში შევიარე, რომ გასაღები დამეტოვებინა, ელექტრომუქის ფული გადამეხადა და ბარემ დავმშვიდობებოდი ბიჭსაც, რომელიც დილიდანვე აღარ გამოჩენილა.

— გეთაყვა, ჯერის დამიძახეთ, — ვსთხოვე აღმზრდელს, მისს კლარკს, — მინდა დავემშვიდობო.

— არ ვიცი, სად დაიკარგა, — მიპასუხა ქალმა. — დღეს რაღაც შეუძლოდ არის. დილის აქეთ არაფერი უჭამია. ერთ ბიჭს მთებში უნახავს, სწორედ იმ დროს, როცა ქვაბთან უნდა ემორიგევნა. ასეთი რამ მას არასოდეს არ ჩაუდენია. — საერთოდ, იგი ძალზე გულმოდგინე ბავშვია.

გუნებაში კიდეც გამეხარდა, რომ ამცდა ბიჭთან გამოთხოვება, რაც ჩემთვის არც ისე ადვილი იყო: მე ხომ ვიცოდი, რომ ამიერიდან ჩვენ ერთმანეთს ვეღარ ვნახავდით.

— მისს კლარკ, — ვუთხარი მე, — დიდი ხანია მინდა მოგელაპარაკოთ ჯერის დედის შესახებ, თუ რატომ მიაბარა მან თავისი შვილი თავშესაფარში, მაგრამ ახლა დრო არა მაქვს, ძალიან მეჩქარება და იმ ქალის ნახვას ვეღარ მოვასწრებ. აი, ცოტაოდენი ფული. რამე უყიდეთ ჯერის საშობაოდ და მისი დაბადების დღისათვის. თვითონ მე რომ გამოვუგზავნო საჩუქრები, შესაძლოა ისეთები გამოვუგზავნო, რაც მას უკვე აქვს. მაგალითად, გორგოლაჭები.

მისს კლარკმა ბეცი, პატიოსანი თვალები აახამხამა.

— აქ არსად არ არის გორგოლაჭებით სასრიალო ადგილი, — მომიგო მან.

მისმა მიუხვედრელობამ გაზაბრაზა.

— უბრალოდ, არ მინდა იგივე საჩუქარი გამოვუგზავნო, რასაც დედამისი აჩუქებს ხოლმე.

მისს კლარკი გაკვირვებით შემომაცქერდა.

— ვერაფერი გავიგე, — თქვა მან. — ჯერის არა ჰყავს დედა, და არც გორგოლაჭები ჰქონია როდისმე...

თარგმნა ნათელა ფურცელაძემ.

## ტანვარჯიში—სილამაზეა!

ზურაბ
ჯაფარიძე

ტანვარჯიში სპორტის ულამაზესი და უძველესი სახეობაა. ტანვარჯიშული ილეთები ცნობილი იყო ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე 3 ათასი წლის წინათ ძველ ჩინეთსა და ინდოეთში, როგორც გამაჯანსაღებელი საშუალება; XVIII-XIX საუკუნეებში იგი ევროპაშიც დაინერგა და ფართო პოპულარობა ჰპოვა. შეიქმნა ტანვარჯიშის სწავლების ეროვნული სისტემები: გერმანული, შვეციური, ჩეხოსლოვაკიური და სხვ.



(მარცხნიდან მარჯვნივ) რ. ბერიკაშვილი, რ. ჯინჯარაძე, მ. დავითაშვილი და ნ. ჯირაშვილი.

ტანვარჯიშმა გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოშიც შემოაღწია. ჩამოყალიბდა ჯგუფები, რომლებსაც იმ დროის ჩვენთვის ცნობილი ჩეხი სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ. შემდეგ ამ საქმის სათავეში ჩაუდგნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები გ. ნიკოლაძე, გ. ეგნატაშვილი, ა. ბაქრაძე და სხვები. ქართველმა ახალგაზრდებმა გულით შეიყვარეს სპორტის ეს სახეობა. პირველი დიდი გამარჯვება 1912 წელს მოიპოვეს ქართველმა სპორტსმენებმა: ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში უკან ჩამოიტოვეს ავსტრიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, მოსკოვის, პეტერბურგის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები და, ყველასათვის მოულოდნელად, პირველი ადგილი დაიკავეს თავიანთ ჯგუფში.

საქართველოში ტანვარჯიში განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. პრაღის ტრიუმფი განმეორდა 30-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირში პირველი ტანმოვარჯიშის სახელი დაისაკუთრა ახალგაზრდა სპორტსმენმა, ამჟამად სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, — გ. რცხილაძემ. ქართულ ტანვარჯიშს საყოველთაო აღიარება მოუპოვეს გ. ბაბილოძემ, ა. ჯორჯაძემ, ნ. თაყაიშვილმა, რაისა ზაალიშვილმა, მედეა ჯუღელმა, გალინა შარაბიძემ.

შემდეგ პერიოდში ქართულ ტანვარჯიშს ადრინდელი ბრწყინვალება დააკლდა, გაუფერულდა. ჩვენი სპორტსმენები ისეთი წარმატებით ვეღარ გამოდიოდნენ საკავშირო სარბიელზე, მაგრამ...

### ყინული დაიძრა

...1965 წელი. სსრ კავშირის პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში! ქალთა შორის პირველი ადგილისათვის დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა ლენინგრადელ ნატაშა კუჩინსკაიას, კიეველ ლარისა ლატინინას, მოსკოველ პოლინა ასტახოვასა და ქართველ ალექსანდრა ჯანუყაშვილს შორის. ახალგაზრდა ქართველმა ტანმოვარჯიშე გოგონამ ისეთი



როზა ბერიკაშვილი დგირზე ვარჯიშის დროს.

მძლავრი მეტოქეობა გაუწია ამ სახელმოხვეჭილ სპორტსმენებს, რომ მათ დიდი ენერგია და ძალის მოკრება დასჭირდათ, რათა ეჯობნათ ა. ჯანუყაშვილისათვის. ალექსანდრამ ყოველ იარაღზე მსაჯთა მაღალი შეფასებები მიიღო და მეორე ადგილზე გასულ პ. ასტახოვას მხოლოდ ხუთი მეათედი ქულით ჩამორჩა. (ჩემპიონი გახდა ნატაშა კუჩინსკაია).

...თბილისის მე-12 საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში, ფიზკულტურის მწვრთნელმა ემა ჭოველიძემ თვალი მოჰკრა ორძელზე მოვარჯიშე გოგონას. ეტყობოდა, ტანვარჯიში მისთვის ახალი ხილი იყო, მაგრამ ისე მსუბუქად, მოხდენილად მოძრაობდა იარაღზე, რომ მასწავლებელმა თვალი ვეღარ მოაშორა.

— როზა ბერიკაშვილო, მოდი ხვალ საღამოს ტანმოვარჯიშეთა სექციის მეცადინეობაზე, — ოდნავ ბრძანების კილოთი უთხრა მასწავლებელმა ცისფერთვალება გოგონას, და იმანაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

გადიოდა დრო, როზა დღითი დღე იმაღლებდა სპორტულ ოსტატობას და შედეგმაც არ დაიგვიანა. იგი ხდება ჯერ თბილისის, მერე საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის. შარშან როზამ ქალაქ კრასნოდარში გამართულ ასპარეზობაში სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე უკან ჩამოიტოვა მასზე გამოცდილი და ასაკით ბევრად უფროსი სპორტსმენები და უძლეველის სახელი მოიპოვა.

რ. ბერიკაშვილი შევიდა სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში და სულ მალე ოლიმპიური ნაკრების წევრიც გახდა. სხვა საბჭოთა ტანმოვარჯიშეებთან ერთად იგი მონაწილეობდა რუმინეთისა და პოლონეთში გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. როზა დაეუფლა ერთ ისეთ ილეთს და ფანტასტიკურ ილეთს, რომელიც მსოფლიოში ჯერ არც ერთ ტანმოვარჯიშე ქალს არ შეუსრულებია.

...ქალაქ ლუგანსკში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საფრანგეთისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე გოგონათა გუნდები. ასპარეზობის სანახავად მოსული მაყურებელი გაოცდა, როცა დიქტორმა ჩვენი გუნდის შემადგენლობა წარუდგინა: როზა ბერიკაშვილი, ნატო ჯირაშვილი, ლუდმილა ლაპისტოვა, ელენე ბოგოლიუბოვა, რუსუდან სიხარულიძე — ესენი ყველანი საქართველოდან იყვნენ, დანარჩენი 3 ტანმოვარჯიშე [illegible] საუკეთესოებთან. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ჩინებულად გამოვიდნენ, მაგრამ ერთ მათგანს მაინც ყველა ალტაცებაში მოჰყავდა. იგი თანაგუნდელებს იმდენად არ ჯობდა, მაგრამ მათზე პატარა იყო და ყველა გაკვირვებით უყურებდა პატარა გოგონას ვარჯიშს. ეს გახლდათ ბათუმელი ნორჩი სპორტსმენი...

— რუსუდან სიხარულიძე! — გოგონა იარაღზე სავარჯიშოდ გამოიძახეს, 1966 წლის მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური პირველობის მსაჯებმა. როცა სპორტსმენი ტანვარჯიშულ იარაღს მიუახლოვდა, მსაჯები შეცბნენ, გაკვირდნენ, წლოვანება ჰკითხეს:

— 1954 წელში დაბადებული, — ოდნავ დარცხვენით უპასუხა გოგონამ. მსაჯებმა იარაღთან არ მიუშვეს. ამ ასაკის ბავშვს ეკრძალება ასეთი დიდი მასშტაბის ასპარეზობაში გამოსვლა. საჭირო გახდა შეჯიბრების ხელმძღვანელების, შემდეგ ექიმის ჩარევა და... როგორც გამონაკლისს, რუსუდანს ნება დართეს ეასპარეზა ასაკით უფროს კოლეგებთან.

რუსუდანი ყოველ ვარჯიშს ისე მსუბუქად, ლამაზად, დახვეწილი მოძრაობებით ასრულებდა, რომ არა მარტო მაყურებლები, მკაცრი მსაჯებიც კი მოხიბლა. გაიმარჯვა კიდეც — 73,45 ქულა მრავალჭიდში და პირველი ადგილი თავის თანატოლებში! ახლა რუსუდანი სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. წინ დიდი სპორტული გზა აქვს და, ვინ იცის, იქნებ სულ მალე ყველა აალაპარაკოს თავისი უზადო ოსტატობით. რუსუდანი ჯერ 13 წლისაც კი არ არის.

თქვენ ალბათ, იტყვით: მარტო გოგონების იმედზე უნდა ვიყოთ? სად არიან ბიჭები?

## კიდევაც დაიზრდებიან!..

ბევრი კარგი სპორტული მომავლის ჭაბუკი იზრდება ახლა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ზუგდიდში. აი, თუნდაც, თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლე გურამ ლოლაძე. ტანვარჯიშის სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებენ ამ ბიჭუნაზე. იგი საქართველოს მრავალჭიდის ჩემპიონია, სპორტის ოსტატობის კანდიდატი და სსრ კავშირის ნაკრების წევრი.

...და აი, დადგა მთავარი გამოცდის ჟამი. ჩვენს ნორჩ ტანმოვარჯიშეებს იგი უნდა ჩაებარებინათ ლენინგრადში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე. და ეს გამოცდა გოგონებმა „ფრიადზე" ჩააბარეს, ბიჭებმა — „კარგზე". საქართველოს გოგონების გუნდი პირველი იყო, ვაჟებისა კი — მეორე. რ. ბერიკაშვილმა საერთო III ადგილი დაიკავა პირად შეჯიბრებაში, ისე კი ჩემპიონობა მოიპოვა ნაირსიმაღლის ორძელსა და თავისუფალ ვარჯიშში. ჭაბუკი გ. ლოლაძე მეორე იყო ერთბაშად 3 იარაღზე: ტაიჭზე, რგოლებზე, ორძელზე.

მაგრამ იმას, რაც მოხდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, არავინ მოელოდა. ტანვარჯიშულ იარაღებზე ერთმანეთს ცვლიდნენ სახელმოხვეჭილი სპორტსმენები. აი, დგირზე ნ. კუჩინსკაია, ორძელზე — ზ. დრუჟინინა, ხტომას ასრულებს ლ. პეტრიკი. უცებ, მქუხარე ტაში მოსწყდა სპორტის სასახლის ტრიბუნებს. რა მოხდა, რომელი ცნობილი ტანმოვარჯიშის მისამართით იყო ეს ოვაცია? არც ერთი მათგანის. იგი ეკუთვნოდა ჩვენს პატარა ლიუდმილა ლაპისტოვას. ნორჩი სპორტსმენი ასრულებდა თავისუფალ ვარჯიშს. მაგრამ ეს ხომ უბრალო ვარჯიში არ იყო, რომელიც ბევრჯერ უნახავს მომთხოვნ მოსკოველ მაყურებელს. ეს იყო ტანვარჯიშულ ხალიჩაზე დახატული ნამდვილი ცეკვა. ლიუდმილა ქართული ცეკვების — განდაგანასა და მთიულურის ჰანგებსა და ტემპში ისე ოსტატურად, არტისტულად ასრულებდა ილეთებს, რომ მისი გამოსვლით გამოწვეული აღფრთოვანების ტაში კარგა ხანს არ დამცხრალა. თავი გამოიჩინეს ე. ბოგოლიუბოვამ და ნ. ჯირაშვილმაც. მაგრამ განსაკუთრებული ქების ღირსია რ. ბერიკაშვილი. მსაჯებმა განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცეს მის მიერ ნაირსიმაღლის ორძელზე შესრულებულ ვარჯიშს — 9,25. მრავალჭიდში მისი შედეგი იყო 74,1 ქულა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ჩემპიონის სახელის მოსახვეჭად.

სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ შეადგინეს სსრ კავშირის ახალგაზრდული, ოლიმპიური და მოზრდილთა ნაკრები გუნდები, რომლებშიც ბევრი ტანმოვარჯიშე ჩარიცხეს საქართველოდან.

ჩვენი ტანვარჯიში ახლა აღმავლობის გზაზეა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კვლავ ამობრწყინდებიან ქართული ტანვარჯიშის ვარსკვლავები. ჩვენ ეს იმიტომ გვჯერა, რომ...

## აქ იჭედება გამარჯვება!

თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე, არის ერთი შენობა, რომლის აბრაზე ასეთი წარწერაა: „... განათლების განყოფილების ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლა". ფართო სპორტულ დარბაზში დილიდან გვიან საღამომდე არ წყდება ნორჩ ტანმოვარჯიშეთა ჟრიამული. გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ტანვარჯიშს ეუფლებიან ნორჩი სპორტსმენები. დერეფანში გაკრულ ფოტოსტენდზე თქვენ ამოიკითხავთ აქ აღზრდილი სპორტსმენების გვარებს, რომელთაც მთელ საბჭოთა კავშირში დაიმკვიდრეს ნიჭიერ ტანმოვარჯიშეთა სახელი. ესენი არიან: მედეა ჯუღელი, მზია ნინოშვილი, ალექსანდრა ჯანუყაშვილი, ნოდარ მაკალათია, მიხეილ ბოგუსი, იური ნინოშვილი...

...ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის სპორტულ სარბიელზე თავდავიწყებით ვარჯიშობენ გოგონები და ჭაბუკები. გაივლის სულ რამდენიმე წელი და, ვინ იცის, მათ შორის რამდენი აალაპარაკებს სპორტის მოყვარულებს მაღალი ოსტატობით შესრულებული ილეთებით, რითაც ასე მდიდარია სპორტული ტანვარჯიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

## ენრიკო მეკინგი

ძნელია გააკვირვო საჭადრაკო სამყარო. მას ბევრი საოცრება უნახავს. მაგრამ ბრაზილიელმა ჭაბუკმა ენრიკო მეკინგმა მაინც გააოცა იგი.

1965 წელს, ყველასათვის უცნობმა 13 წლის ენრიკომ ბრაზილიის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. 1968 წელს ბრწყინვალედ ითამაშა მსოფლიო პირველობის სამხრეთ ამერიკის ზონალურ ტურნირში, სადაც პირველ-მეოთხე ადგილები გაიყო გამოცდილ არგენტინელ მოჭადრაკეებთან — დიდოსტატ ო. პანოსთან და საერთაშორისო ოსტატებთან ხ. ბოლბოჩანსა და ა. ფოგელმანთან.

მეკინგის მოულოდნელმა წარმატებამ და ყმაწვილისათვის უჩვეულოდ დარბაისლურმა თამაშმა ქვეყანა აალაპარაკა.

აი, როგორ დაამარცხა ენრიკომ პანო (იხ. დიაგრამა).

პატარა ბრაზილიელის (თეთრები) პოზიცია ოდნავ უკეთესი ჩანს. მას არ იტაცებს მწვავე ბრძოლა, რომელიც ასე წარიმართებოდა: 14.d5 ed 15.მ: d5მ:d5 16.კ:d5 კ:g5 17.კ:f7+ მფ:f7 18.ლf5+კf6 19.მg5+მფf8 20.მ:h7+მფg8 21.ე:d8 კ:d8 22.ლd5+-. იგი ენდშპილში ამჯობინებს თამაშს.

14.მe5 მ:e5 15.de ლ:d3 16.ე:d3 მg4 17.კf4 g5 18.კg3 ეac8 19.კb5 ეed8 20.ეfd1 a6 21.ე:d8+ე:d8 22.ე:d8+ კ:d8 23.კe2 მh6 24.f3 კc7 25.მe4 კ:a4.

პანო ცდება. ორი კუ და მეფის აქტიური თამაშის შანსი ენრიკოს დიდ უპირატესობას აძლევს, რომლის რეალიზებისას იგი საუცხოო ტექნიკას ამჟღავნებს.

26.fe a5 27.მფf2 მფf8 28.მფe3 მg8 29.მფd4 მe7 30.მფc4 მc6 31.კf2 კ:e5 32.b3 კd6 33.მფb5 მb8 34.კ:b6 კ:a3 35.კ:a5.



ენრიკო მეკინგი მოწინა-
ის სამგზის ჩემპიონ მიხე-
ილ ბოტვინიკთან ერთად
პარტიის შემდეგ.

ენრიკომ გამსვლელი პაიკი შექმნა. მომდევნო ბრძოლა ამ პაიკის გაყვანისათვის მიმდინარეობს.

35. ... მფe8 36.b4 მფd7 37.მფb6 მფc8 38.b5 მd7 39.მფa7 კc5 40.b6 f5 41.ef ef 42.კd3 f4 43.კf5 მფd8 44.მფb7 მe5 45.მფa8 კd6 46.b7 მფe8 47.კ:b7 g4 48.კe4 f3 49.g3 f2 50.კg2 მe4 51.კb4. პანო დანებდა, რადგან 51. ... კe5-ს მოჰყვება 52.კc5.

ბრაზილია, რომელიც ფეხბურთის ქვეყანადაა ცნობილი, არ არის ჩვეული წარმატებებს ჭადრაკში. ამიტომ, ჟურნალისტებმა ნიჭიერ ჭაბუკს „ჭადრაკის პელე“ შეარქვეს, რითაც თავიანთი დიდი აღფრთოვანება გამოხატეს.

ენრიკო მეკინგის სახელის გარშემო ამტყდარი ხმაური მხოლოდ მამას არ მოსწონდა. ბანკის მდიდარ მოხელეს როდი უნდოდა შვილი მოჭადრაკე ყოფილიყო. მაგრამ საზოგადოებრიობამ მოითხოვა ბავშვის ნიჭისთვის ხელის შეწყობა და ამ სურვილს მამა წინ ვერ აღუდგა.

1967 წლის დამდეგს ენრიკო მეკინგს ჰასტინგსის ტრადიციულ საშობაო ტურნირის მონაწილეთა შორის ვხედავთ. იგი თვით მიხეილ ბოტვინიკსა და ახალგაზრდა ევროპელ ოსტატებს ეპაექრება. ევროპის გაზეთები ხოტბით იხსენიებდნენ ბრაზილიელ ჭაბუკს, უქებდნენ ნიჭსა და ხელოვნებას.

გაზეთ „შტუტგარტენ ცაიტუნგის“ საჭადრაკო მიმომხილველი წერდა: „ტურნირის დროს ყოველდღე ვაკვირდებოდი მეკინგს. ბევრს ვსაუბრობდით და, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ იგი ძალიან დიდი ტალანტია“. სხვათა შორის, კორესპონდენტი მეკინგს ადარებს გამოჩენილ ამერიკელ დიდოსტატ ს. რ. ფიშერს და დასძენს, რომ ბრაზილიელი უფრო სადა და თავაზიანი ყმაწვილია. იქვე ვკითხულობთ მეკინგის ბიოგრაფიასაც: „დაიბადა 1952 წელს, ქ. რიო გრანდე დე სულში. ჭადრაკი დედამ გააცნო, როცა ენრიკო 6 წლისა იყო. თამაშმა ძალიან გაიტაცა. 10 წლის ენრიკომ სცადა, დაევიწყებინა ჭადრაკი, რადგან ამას მამა მოითხოვდა. მაგრამ ამაოდ. მაშინ უფრო სერიოზულად მოკიდა ხელი ხის ფიგურების საიდუმლოებების შესწავლას“.

თავშეუკავებელი ბრაზილიელები დიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალს ენრიკოს გამოსვლას ჰასტინგსში. აღმოჩნდნენ ისეთი გულშემატკივრებიც, რომლებმაც ატლანტიკის ოკეანე გადასერეს, რათა დასწრებოდნენ თავიანთი კერპის თამაშს.

— თქვენ იცით, ენრიკო როგორი ტალანტია? — ამბობს ერთ-ერთი ამ გულშემატკივართაგანი, დე სილვა, ქირურგი რესიფიდან, რომელმაც ბრაზილიის პირველობაში ითამაშა და წააგო თავის ფალავანთან. — მას შეუძლია ისეთ პოპულარულ თამაშად აქციოს ჭადრაკი ბრაზილიაში, როგორადაც იქცა იგი კუბაში, მას შემდეგ რაც კაპაბლანკამ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი მოიპოვა.

მართალია, ჰასტინგსში ენრიკომ მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა, სამაგიეროდ, საერთაშორისო ოსტატის წოდება მოიპოვა. ენრიკოს მოკრძალებულ შედეგებს მასპინძლები სამხრეთელისათვის შეუჩვეველ ევროპულ ჰავას მიაწერდნენ. ამ შენიშვნის სიმართლეში მალე ყველა დარწმუნდა.

იანვრის ბოლოს მეკინგის საქმისთვის დაინიშნა სამხრეთ ამერიკის ზონალურ ტურნირში გამარჯვებული ოთხეულის მატჩ-ტურნირი, რომელსაც საზონათშორისო ტურნირის სამი მონაწილე უნდა გამოევლინა. ენრიკომ კვლავ გაახარა თანამემამულენი. მან პირველი ადგილი დაიკავა — 6 შეხვედრაში, 4, 5 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე დარჩა ბოლბოჩანი (4 ქულა), მესამეზე — პანო (3 ქულა).

ამ გამარჯვებამ ენრიკო მეკინგს დიდება მოუტანა. იგი ეროვნულ გმირად გამოაცხადეს ბრაზილიაში.

ამ თვეში, ტუნისში, საზონათშორისო ტურნირზე „ჭადრაკის პელე“ შეხვდება გამოჩენილ დიდოსტატებს: სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონს ლ. შტეინს, ვ. კორჩნოის, ე. გელერს, დანიელ ა. ლარსენს, იუგოსლაველ ს. გლიგორიჩს, უნგრელ ლ. პორტიშს, ამერიკელ რ. ბირნსს და სხვებს. ძნელია იმის თქმა, მოხვდება თუ არა ენრიკო პრეტენდენტთა დასში. თუმცა მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.



ასეთია ენრიკო მეკინგი, რომელზეც, საჭადრაკო სამყარო დიდ იმედებს ამყარებს!

თენგიზ გიორგაძე.

# ცეცხლი

გიორგი კაკუაშვილი

მხატვარი მზია დიდანაშვილი

ოქვანს რომ მზემ მიაჭყიტა, ზაზას მაშინ გამოეღვიძა. თვალები მოიფშვნიტა, იქაურობა მოათვალიერა და ისე ხმამაღლა დაამთქნარა, ეზოში ინდაურები აჟუჟუნდნენ. „ისევ დახუჭოს თვალები და ძილი განაგრძოს თუ ადგეს? არა, მზეზე ძილს ადგომა აჯობია".

გზიდან ბიჭების ხმაური მოისმოდა. ზაზას გულმა იქით გაუწია და, როგორც კი ჩაიცვა, პირდაუბანელმა კიბეს მიაშურა. მერე გაახსენდა. არ მისაუზმია, და ისევ უკან დაბრუნდა.

„ნეტა სად წავიდა დედა?"

— დედა! — გასძახა ბაღჩისკენ.

ბაღჩიდან არავინ გამოეპასუხა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის. ზაზა რომ გაიღვიძებს, დედა უკვე წასულია: ხან კოლმეურნეობაში, ხან წყალზე, ხან წისქვილში, ხან ვენახში. მამა მთაშია და ამიტომ ყველგან დედა დადის, ყველაფერს დედა აკეთებს. არც მზია სახლში. სკოლიდან როგორც კი დაითხოვეს, დეიდასთან წაიყვანეს დუშეთში და იქ ისვენებს.

აჰა, რომ ახლაც ჩვეულებრივი ამბავი მოხდა: ზაზამ გაიღვიძა და სახლში არავინ დახვდა. ალბათ, სადმე წავიდა დედა. მაგრამ, მოდი ერთხელ კიდევ დაუძახებს, იქნებ აქვეა.

— დედა!

— დედაშენი ვენახში წავიდა, — გამოეპასუხა თედო პაპა. თედო, მართალია, თამაზის პაპაა, მაგრამ ზაზაც პაპას ეძახის. — კარადაში მაწონია და ჭამეო. მაგიდაზე მაჭიდაანთ პურისაა და შეატანე, გუშინდელი გამომცხვარიაო... იმეცადინეო, გაიგე, წიგნი წაიკითხეო, — სვენებ-სვენებით იხსენებდა თედო პაპა. — შორს არსად წახვიდე და კარები ღია არ დაავდოო.

ზაზა უხალისოდ შეიმშუშნა. ჭამას როგორც იქნება მოახერხებს. ღორის ქონს წაუსვამს შოთის ნატეხზე, ზემოდან მაჭრის ფხვნილს მოაყრის და მეტი არაფერი. ყველას ეს აჯობებს. მაწონი როგორღაც არ ესიამოვნება. ისე კი ყველაფერს ვენახში წასვლა ურჩევნია. საადრეო ყურძენში თვალი შევიდოდა. პამიდორი და კიტრი ხომ, რამდენიც გინდა, იმდენია. პურიც თან ექნება წაღებული დედას და წყალიც. შეიძლება გაუჯავრდეს, სახლს თავი რად დაანებეო, მაგრამ ცემით არა სცემს. არა, ვენახში წავა.

ვენახი სხვა სოფელშია, მათი სახლიდან ორ კილომეტრზეა.

ივლისის მზე ძალლიერით იწვის. მზესუმზირები გაოიდულან. მხოლოდ ხანდახან შეირხევიან ხოლმე და ყვება თავებს ისე ჩაიქნევენ თითქოს ვ'ლაცას ესალმებიანო. ზაზამ მზესუმზირის თავი მოტეხა, ხელისგულით ნაყვავილარი მოაფშვნიტა და ჩირჩნა დაუწყო.

„სულ თაფლის ფიჭას არა ჰგავს! რა იქნებოდა, თაფლივით ტკბილი რომ იყოს? მაშინ ასე კი არ იქნებოდა თავმინებებული. თუმცა, არც ეს მზესუმზირა იქნება უპატრონოდ. აგერ ის კაცი, მგონი, მეველეა!"

ზაზამ გაღმა გორაკზე ვიღაც კაცი შენიშნა. ზურგზე უშველებელი ჯოხი გაეხარიხებინა და ალმა მიუყვებოდა ბილიკს.

მამა გაახსენდა ზაზას. ალბათ, ახლა ისიც ასე მიდის მთაზე და თან ცხვრებს აძოვებს.

მზესუმზირებს რომ გასცდა, ხორბლის ნამკალი დაიწყო. გზაზე ნალეწი ნამჯა ეყარა. კომბაინი კი აღარსად ჩანდა. აღარც ხალხი ირეოდა. გარშემო მარტო კუტკალიების სიმღერა და ნამჯის ტკაც-ტკუცი ისმოდა. ჰაერში სიცხის ჭავლი ლივლივებდა.

„რა მაგრად მოუკიდებ, ამ ნამჯას. საკმარისია გაჰკრა ერთი ასანთი და მაშინვე აგუგუნდება".

ზაზამ ჯიბეზე გაიკრა ხელი და, ბიჭოს, ასანთი ჰქონია. ვითომ რა დაშავდება, ცეცხლი რომ წაუკიდოს? კოლმეურნეები ხომ თვითონ გადასწვავენ ხოლმე მინდვრებს: სარეველა გაქრება და უკეთესი მოსავალი მოვაო. ჰოდა, ამაზე უკეთ როდის გადაიწვება მინდორი? მართალია, ზაზასთვის არავის დაუვალებია, მინდორი გადაწვიო, მაგრამ... ზვინივით წამოსკუპებულა ნალეწი. აქეთ რომ გადმოწეწილა, ჯერ იმას მოუკიდებს და მერე თვითონ ივლის ცეცხლმა...

ზაზამ ასანთს მოუკიდა და ნამჯაში ეძახა. ნამჯამ ტკაც-ტკუცი დაიწყო. ცეცხლი ერთი ღერიდან მეორეს მოეკიდა, მეორიდან — მესამეს, ერთი თალმიდან მეორეზე გადავიდა, მეორედან მესამეზე და ნამჯის გროვას ცეცხლმა ერთ წამში შემოურბინა.

ზაზამ ასანთი ჯიბეში ჩაიდო, იღლიაში ამოჩრილი მზესუმზირა მარცხენა ხელში გადაიტანა და გზა განაგრძო. იქაურობას რომ გასცილდა, უკან მიიხედა. გზის პირას ნამდვილი კოცონი გაჩაღებულიყო. ზაზას ჯერ გაუხარდა და მერე შეეშინდა კიდეც. სხვა ბიჭებიც რომ აქ იყონ, კარგი იქნებოდა, შეიძლება ზედაც გადაეხტარიყვნენ, მაგრამ ახლა მარტოა და საშიშია. სჯობია ნაბიჯს მოუმატოს, თორემ იქნებ წამოეწიოს კიდეც ცეცხლი.

ზაზა უკანმოუხედავად მიეშურება ვენახისაკენ. მალე გაღმა მინდვრებზე გადავა და მერე უკვე საშიში აღარაფერი იქნება.

— გვი-შვე-ლეთ!.. ვიღუ-პე-ბით!

— მოისმა ვიღაცის ყვირილი.

ზაზამ იქით გაიხედა. გორაკიდან კაცი ჩამორბოდა. ცალი ხელით დიდ ჯოხს ებჯინებოდა და დევივით მოალაჯებდა. მოალაჯებდა და ღრიალებდა. ეს, ალბათ, მეველე იყო.

— ვი-ღუ-პე-ბით!.. ხან-ძა-რი!.. ხან-ძა-რი!..

ზაზა მიხვდა, რომ რაღაც საშინელი ამბავი უნდა დატრიალებულიყო. ეს მან წელანვე იგრძნო, როგორც კი ასანთს მოუკიდა, მაგრამ თავს არ დაუჯერა.

შეშინებულმა ზაზამ იქაურობა ხელახლა მოათვალიერა და ელდა ეცა: მისგან ოციოდე ნაბიჯზე ხორბლის უშველებელი ზვინები იდგა, იმის იქით კი მოსამკელი ყანები იწყებოდა. კომბაინი წასულა, მაგრამ ხორბალი ჯერ არ გაუტანიათ. ყანაც მოსამკელი დარჩენიათ. ნაკვეთის ბოლოში გაუჩერებიათ კომბაინი. ალბათ გაფუჭდა და აკეთებენ.

— მი-შვე-ლეთ! — იღრიალა ზაზამ და ხანძრისკენ გაიქცა.

„წელს კარგი მოსავალია და სამუშაოს ვერ გავაცდენ," — ჩაესმის დედის სიტყვები.

„მოსავალს კარგი პირი უჩანს, შრომადღეებიც ბევრი გვაქვს. მთიდან ჩამოვალ და სახლის საძირკველი ჩავაგდოთ. მთელ სოფელში ჩვენლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვაქვს ძველი სახლი“,—გაახსენდა მამის ნათქვამი. გაახსენდა და ღრიალს უმატა.

—მი-შვეე-ლეეთ! მი-შვე-ლეეთ!

მაგრამ ხმა აღარა აქვს ზაზას. მხოლოდ ყელში ხრიალებს, ხრიალებს, ხრიალებს და გარბის.

ცეცხლი ყველაფერს მოსდებოდა. გაბნეულ ნამჯას გაჰკიდებოდა, გზის ორივე მხარეზე გასულიყო და საოცარი სისწრაფით იზრდებოდა წითელი წრე.

ზაზამ ჯერ ფეხებით სცადა ცეცხლის ჩაქრობა, მაგრამ ერთ ადგილას რომ ჩააქრობდა და სხვაგან გადაინაცვლებდა, ჩამქრალ ადგილზე ცეცხლი ხელახლა ჩაღდებოდა.

— დაიწვები!—მოესმა ვიღაცის ყვირილი და, სწორედ ამ დროს ალმა ისე შემოჰკრა, რომ შიშველ კანჭებზე ბეწვები აუტრუსა და მოკლე შარვლის ტოტებსაც მისწვდა.

ზაზა შეკრთა, შარვალზე ხელები მოისვა და ხელახლა მიეტანა ხანძარს. სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, დასწვდა ნამჯას და ორივე ხელით დაუწყო გლეჯა. გაათეთრებული ტრიალებდა აქეთ-იქით. მოგლიჯა ერთი ბლუჯა, ორი, სამი... მაგრამ რა მაგარია ეს ოხერი,—მოგლეჯის მაგიერ, ძირში წყდება და თანაც ხელს ბასრ დანასავით სჭრის.

მერე მოვიდა და მოვიდა ხალხი, მოვიდა და მოვიდა...

ზაზამ დაინახა, რომ მთელი სოფელი აქ იყო. ქვეყნის თოხები, ბარები და ნიჩბები ტრიალებდნენ.

მერე, მაღალმა ტრისტანამ უზარმაზარი ტრაქტორი მოიყვანა და ცეცხლს ირგვლივ შემოუარა გუთნით.

— ახლა ველარსად წავივა.—არხეინათ თქვა ვიღაცამ და ზაზამ თედო პაპას ხმა იცნო.—ვის დაინახა პირველად, კაცო, იმ ღვთისნიერმა, ჰა?

გაუკვირდა ზაზას: ნუთუ იმდენი ხანი გავიდა, რომ თედო პაპამაც აქ ჩამოაღწია თავისი ყავარჯნით?!

—ამ ბალღს უნდა ვუმადლოდეთ,—თქვა კალოს დარაჯმა და ზაზას დაუწყო თვალიერება—ამას რომ არ დაეყვირნა, სანამ კალოზე ზედ არ მოგვადგებოდა ცეცხლი, ვერაფერს გავიგებდით. ტრისტანაც ჩემთან იყო და, როგორც კი ვუთხარი, ჰარიქა ტრისტან, ვილუპებით-მეთქი, მოაჯდა ტრაქტორს, დაუბა გუთანი და, ნუ გეშინიათ.

— ნახეთ, ეს ბიჭი საკუამურში გამძვრალს დამგვანებია!—თქვა ვიღაც კაცმა და ზაზას თავზე ხელი გადაუსვა.

— კაცო, გადაღმა გადავედი, მზესუმზირას გადავხედო-მეთქი; გადმოვედი და ნამკალი არ იწოდა! ვიფიქრე, აქედან ხომ მოსამკალსაც მოედება და დავილუპებით-მეთქი. ჰოდა, ყვირილი დავიწყე, მაგრამ ამ პატარა ბიჭმა მომასწრო,—ქშენით ამბობდა მეველე.—ეგეთი უშიშარი ბალღი ჯერ არ მინახავს. მე რომ არ დამეძახნა, დაიწვები-მეთქი, ცეცხლში ვარდებოდა. წადი, შვილო, კალოზე ხელპირი დაიბანე!

გზატკეცილზე მანქანა გაჩერდა. იქიდან ორი კაცი გადმოვიდა და ხალხისკენ წამოვიდა. ერთს უბის წიგნაკი ეჭირა ხელში, მეორე — გასაღებს ატრიალებდა [illegible] თითზე.

— ხანძარი [illegible] თრიანმა.

— ვიწოდით, დოვლათი გველუპება, ა ემ პატარა კაცმა გადაგვარჩინა, — მიუთითა მეველემ ზაზაზე, რომელიც განზე გასულიყო, ნეკი პირში ჩაედო და რაღაცაზე ფიქრობდა დაყინებით.

— ამ ბავშვმა გადაგარჩინათ?—გაიკვირვა იმან, რომელსაც უბის წიგნაკი ეჭირა, ზაზასთან მივიდა და თითით ნიკაპი აუწია—ყოჩაღ, ბიჭიკო! ფოტოაპარატი რომ თან მქონდეს, სურათს გადაგიღებდი. ნახეთ, რა ნაომარსა ჰგავს!

უცნობმა დავთარი გაშალა, გულის ჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო და ასეთი კითხვა-პასუხი გამართა ზაზასთან:

— რამდენი წლისა ხარ?

— ათისა!

— რომელ კლასში სწავლობ?

— მეოთხეში.

— ალბათ, ფრიადოსანი ხარ არა?

ზაზამ თავი ჩაღუნა. უთხრას—საშემოდგომო მაქვსო, სირცხვილია, არა და...

— ფრიადოსანი იქნება, მაშ რა. ამისთანა ბიჭი ცუდად როგორ ისწავლის!—ჩაერია ვიღაცა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. —დაეთანხმა დავთრიანი—მაშ ასე, ათი წლის გმირი არა?.. თუ პატარა მეხანძრე?

— ვითომ რა, გაზეთში ხომ არ უნდა გაუშვათ?—შეეკითხა მეველე.

— დიახ.

— აჰა. რა გინდა. ძმაო, კაცია და ეგ არის!

***

„სოფლის დოვლათი გადაარჩინა“ — გაზეთში ასეთი სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ცამდე იყო აყვანილი ზაზას გმირობა. აქ ისიც იყო ნათქვამი—ფრიადოსანია და სწავლაში პირველობას არავის უთმობსო.

მეორე დღესვე მოადგნენ ზაზას თანაკლასელები. შინ მარტო ზაზა იყო. მან ამხანაგები ბაღჩაში ჩაიყვანა და შეეცადა მის გმირობაზე ბევრი არაფერი ეთქვათ, მაგრამ საქმეში ხართ!

— მართლა ასეთი გმირობა ჩაიდინე?

— ზაზა, ნუთუ ეს შენა ხარ?

—რატომ აქამდე არ ვიცოდით, თუ ასეთი უშიშარი იყავი?—იძახდნენ აღტაცებული ამხანაგები და თან ჭან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭურჩა და პანტას ეხვეოდნენ. ზოგიერთი კი დიდი ცნობისმოყვარეობით მისცქეროდა ზაზას და თვალს არ აშორებდა.

— უშიშარი არა, ტოროლა!—წამოაძახა გოდერძიმ. — თქვენ მე მასწავლით, ეგ რაც არის?

— არა, გოდერძი. მამამ თქვა, ყველაფერი ნამდვილია, რაც გაზეთში ეწერაო,—შეედავა ნუნუ.

— ნამდვილი არა, ტოროლა!—კიდევ უფრო გამომწვევად თქვა გოდერძიმ.—მაგას ალბათ ტერტეროს ულელით მოუვიდა, ეგ არის და ეგ!

— ტერტეროს ულელი რა არის?—იწყინა ზაზამ.

არც ამხანაგებს მოეწონათ გოდერძის ოხუნჯობა და აქეთ-იქიდან წაესივნენ:

— ჰო, ჰო, რა არის ტერტეროს ულელი?

— ჰა, ტერტეროს ულელი არ იციით?—ჩაიცინა გოდერძიმ. — ერთმა ტერტერამ ულელი გადააგდო და თუ-რმე ბალახებში კურდღელი მოკლა. მერე მოდგა და ტრაბახი დაიწყო: კურდღელს გამოვედევნე, დავეწიე, ულელი ვესროლე და მოვკალიო. ხა-ხა-ხა!

ზაზა ყურებამდე გაწითლდა. ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა და ნიკაპი აუთახთახდა. ბავშვებს შეეცოდათ მეგობარი და ისევ გოდერძის შეედავნენ:

— ტყუილია, ტერტეროს ულელი ჩვენ არ გაგვიგონია, შენი მოგონილია.

— ვისი მოგონილიც გინდა იყოს. აი, ნახეთ, ფერი როგორ ეცვალა! ნამდვილად ტერტეროს ულელით მოუვიდა. გულადი ნაზარა და ხაცარქეკიაც ასეთი გმირები იყვნენ. იქნებ არც ისენი გაგიგიათ?

გოდერძის სიცილს ორიოდე სხვისი სიცილიც შეუერთდა, მაგრამ დანარჩენები უფრო გაბრაზდნენ.

— ყველას დასცინი და ეს კი თვითონ გაქვს დასაცინად საქმე—შეუტია ნუნუმ.

— შენ არ იყავ, ისტორიაში რომ ორიანი მიიღე!—ხმა აიმაღლა ნანამ.

— გაზეთში რომ წერია, იმასაც კი არ უჯერებ. ვითომ შენ ვინა ხარ?—შუბლი შეიკრა მალხაზმა.

გოდერძი ჯერ შეკრთა, შეიშმუშნა, სახეზე ღიმილი წაეშალა და ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ მერე ისევ მაცდურად გაიღიმა და თავისი განაგრძო:

— ბიჭო, გაზეთში ისიც ეწერა, ხუთოსანია და პირველობას არავის უთმობსო, ეგეც მართალია? ჩვენი კლასიდან მარტო მაგას გამოჰყვა საშემოდგომო.

ბავშვები გაჩუმდნენ. მხოლოდ ნუნუმ არ დაიხია უკან და უფრო მეტად წამოენთო:

— ზაზა მაგას არ იტყოდა, ხუთოსანი ვარო. ალბათ სხვამ დააწერინა კორესპონდენტს. შენ გშურს ზაზასი და ამიტომ ამბობ.

— გშურს, გშურს!—აჰყვნენ სხვებიც.

— მშურს და მშურდეს,—დაუდევრად ჩაილაპარაკა გოდერძიმ, ცალფეხზე შემოტრიალდა და კუტიკარს მიაშურა.—თქვენ თუ იმიტომ ეფერებით, ჭანჭური და პანტა გვაჭამოსო, მოუფერეთ; მე კი ვიცი, რომ მაგას ხანძრის გაჩენა უფრო ეხერხება, ვიდრე ჩაქრობა.

ზაზას ძილი აღარ მიეკარა იმ ღამეს. „ხანძრის გაჩენა უფრო ეხერხება, ვიდრე ჩაქრობაო".



იქნებ გოდერძი უკან მოჰყვებოდა და ყველაფერი დაინახა. იქნებ ზოგიერთი რამ დაფარა კიდეც და ამხანაგებში აღარ შეარცხვინა. ... ილი არაფერი უთქვამს.

ტერტეროს ულელი...

ზაზას მართლაც ტერტერასავით მოუვიდა და გმირად კი მონათლეს ძაიხც რა ჩაუწერიათ, ხუთოსანია და პირველობას არავის უთმობსო.

რატომ გაჩუმდა?

როცა შეეკითხნენ, როგორ სწავლობო, რატომ არაფერი უპასუხა? რატომ არ უთხრა, საშემოდგომო გამოცდა მაქვსო? მერცხვა? მერცხვა კიდეც, მაგრამ ნუხუს ძამამაც აღარ დააცადა. ომში დასჭირდათ ტყუილი შექება. როგორ უნდა დაენახოს მასწავლებლებს? რას იტყვიან ისინი? ხომ იფიქრებენ, ზაზამ თვითონ ჩააწერინა ტყუილიო.

— არ გძინავს, ზაზა?—გამოეხმაურა დედა.

— არა.

— გაწუხებს რამე?

— არა, არაფერი, დედა. გამოცდაზე ვფიქრობ, — იცრუა ბაზამ.

— მართლა? მაშ კარგად ჩააბარებ.

ზაზა დაიბნა დედის სიტყვები გაუკვირდა.

— შენ რა იცი, რომ კარგად ჩავაბარებ, დედა?

— მაძ რა, თუ გამოცდაზე ფიქრობ, ალბათ ემზადები კიდეც და გეცოდინება.

ზაზამ გვერდი იცვალა, მაგრამ მალე ისევ გადმობრუნდა, ფიქრი განაგრძო.

„ფრიადოსანიო"?

გასულ წელს ერთი ფრიადიც არ მიუღია. თუმცა როგორ არა,—ერთხელ არითმეტიკაში მიიღო. იმ კვირაში ერთხელ შეასრულა დავალება და მაშინაც ხუთიანი მიიღო. არა, როცა კი გაკვეთილები უსწავლია, სხვაზე კარგად სცოდნია. მართალია, თითი არ აუწევია და კლასში არ უამბნია, მაგრამ გულში იცოდა. სხვები რომ მოჰყოლიან და შეცდომა დაუშვიათ, ზაზას შეუსწორებია.

გოდერძის კი ჰგონია, შტერია და არაფერი ესმისო. ზაზამ რომ ნანასავით იმეცადინოს, ან ნუნუსავით, მთელ დღეს რომ ცხვირი წიგნში აქვთ ჩაფლული და თავს მაღლა არ იღებენ?! ან რატომ მიიღო ორიანი? ერთხელ გამოიძახა მასწავლებელმა და გაკვეთილი არ ვიციო. მეორედ გამოიძახა და—არ ვიციო. მერე პირობა დაადებინა, საშმაბათს ყველაფერს გამოგკითხავ და ნიშანი უნდა გამოასწოროო. გამოვასწორებო. მაგრამ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მშობლის ზაზა სულაც არ მივიდა სკოლაში. მერე დაითხოვეს კიდეც და ორიანიც გამოაყოლეს.

მოატყუა. დედისთვის ეთქვა მასწავლებელს: ზაზას ტყუილი უფრო მეწყინა ვიდრე უცოდინარობაო.

ტყუილი? წელანაც კი მოატყუა დედა—გამოცდაზე ვფიქრობო. რატომ სიმართლის თქმა არ უყვარს? რატომ გაიტეხა ასე სახელი, რომ მართალსაც აღარ უჯერებენ? გაზეთშიც ტყუილი ეწერა, მასწავლებელიც მოატყუა, დედაც. ახლა უთხრას ყველაფერი? იქნებ ამით მაინც გამოასწოროს საქმე?

— დედა!

— რა, შვილო?

„უთხრას თუ არ უთხრას? მოდი, ეტყვის".

— დედა, წელან მოგატყუე.

— რა მომატყუე?

გამოცდაზე ვფიქრობ-მეთქი, რომ გითხარი.

— ვიცოდი.

— საიდან იცოდი?

— შენ ხომ [illegible] მასწავლებელიც ხომ [illegible] რის.

— ტყუილი? აღარ მიყვარს ტყუილი, არა,—წამოიძახა ზაზამ, — აი, ნახავ... დედა, შენ იცი თუ არა, გაზეთში რომ ეწერა...

— ვიცი... არ მითხრა, ეგეც ტყუილი იყოო.

— ტყუილი იყო, მაგრამ ამას იქით ყველაფერი მართალი იქნება. აი, ნახავ თუ არა! აი, ნახავ თუ არა! მე ველარავინ დამცინებს და ყველას ვაჯობებ.

— კიდევ ხომ არ მატყუებ?

— არ გატყუებ. აი, ნახავ!

...და იცით, როგორ სწავლობს ზაზა ახლა? ჰკითხეთ ნუნუს, ნანას, მანანას, მალხაზს... ჰკითხეთ თუნდაც გოდერძის. დიახ, გოდერძის! მას ხომ ყველაზე უფრო უყვარს სიმართლის თქმა.

# ? თავსატეხები

## ორი თავსატეხი

სცადეთ, აქ მოთავსებული ნახაზები დახაზოთ ისე, რომ ფანქრის წვერი ქაღალდს არ მოაშოროთ და ერთი და იმავე ხაზზე ორჯერ არ გაატაროთ.

ალექსანდრა მამულაშვილი
თბილისის 61-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე



## პასუხი მე-9 ნომერში მოთავსებულ თავშესაქცევზე

### რომელია მართალი?

როცა მაციევარი მუშაობს, ოთახში თავისებური თბოცვლა ხდება. ამიტომ, ჩართულია მაციევარი თუ გამორთული, ოთახში სითბოს მარაგი არ იცვლება. მაგრამ, იმის გამო, რომ მაციევარი მუშაობისას გამოჰყოფს სითბოს, ოთახი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც თბება.

ამდენად, მართალია ის, ვინც, ოთახის გათბობის მიზნით, მაციევარი ჩართო.

### კატები

ოთახში სულ 4 კატა იყო, ყოველ კუთხეში — თითო-თითო.

### ვინ რამდენი წლისაა?

გოგი ერთი წლისა და 9 თვისა იყო, გივი — 3 წლისა და 6 თვის, ნელი — 6 წლის და 3 თვის. თამარი — 10 წლის და 6 თვის.

### ყველას შეუძლია იყოს ჰერკულესი

ბოძკინტზე ერთხელ შემოხვეული ბაგირი, ხახუნის წყალობით, ადამიანის ძალას 3-ჯერ ზრდის; ორჯერ შემოხვეული — $(3,5)^2$-ჯერ, სამჯერ შემოხვეული — $(3,5)^3$-ჯერ თუ ჩავთვლით, რომ ერთ ადამიანს 100 კგ. სიმძიმის შეკავება შეუძლია, იოლად გამოვიანგარიშებთ, რომ ბოძკინტზე რამდენიმეჯერ შემოხვეული ბაგირის წყალობით, ერთ მიზღვაურს მართლაც შეუძლია საოკეანო გემის შეკავება.

### ორი თავსატეხი

ფიგურები იყოფა ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები










ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ბარათაშვილის ცხოვრება

იაკობ ბალახაშვილის წიგნი „ბარათაშვილის ცხოვრება" სასიქადულო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ვრცელი მატიანეა.

წიგნში, ცნობილი წყაროების თავმოყრასა და სისტემატიზაციასთან ერთად ფაქტიური მასალის მხრივ ბევრი რამაა ახალი; განსაკუთრებით აღსანიშნავია ბარათაშვილის მოწაფეობის დროინდელი თარგმანი რომაელი მწერლის ტაციტის თხზულებიდან.

ამასთანავე დადგენილი და გამორკვეულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების არა ერთი თარიღი და ბიოგრაფიული საკითხი.

### მიმქრალი შარავანდედი

„მიმქრალი შარავანდედი" ცნობილი ქართველი მწერლის ვასილ ბარნოვის ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიული რომანია. მასში XVII საუკუნის კახეთის სამეფო კარზე მომხდარი არეულობაა ასახული. მწერალი დიდი ოსტატობით ხატავს წარსულის სურათებს და ნათლად ასახავს მაშინდელი საქართველოს სოციალურ მდგომარეობას.



### მარმარილოს წამალი

ცნობილია, რომ წყალი მარმარილოს ქანდაკებებს აფუჭებს, შეაღწევს რა პაწაწა ფორებში. წყალი ქვის „ტყავს" ქვეშ წარმოქმნის კალციუმისა და სილიციუმის კრისტალებს, რის შედეგადაც მარმარილო თანდათან იფარება წვრილი ნაპრალების ქსელით. იმისათვის, რომ ქანდაკებები არ „დაბერდნენ", ფრანგი სპეციალისტების აზრით, ისინი ერთგვარი ნივთით უნდა დამუშავდნენ. ეს ნივთიერება სამუდამოდ აჩერებს ქვაში მიმდინარე დამანგრეველ რეაქციას და მარმარილო იცურნება. უკვე ჩატარდა პირველი რესტავრაცია: აღდგენილი იქნა ანტიკური სტატუეტი, რომელიც ორიათას წელზე მეტ ხანს იყო ნესტიან ნიადაგში.

### ოთხფეხა კინომსახიობები

ამ ბოლო ხანებში კინოსტუდიათა პავილიონებში სულ უფრო ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე ცხოველები. ეს პატივი უველაზე მეტად ცხენებს ხვდათ წილად — მათ უკვე 10 000-ჯერ „ითამაშეს" კინოაპარატის ობიექტივების წინ. ცხენების შემდეგ მოდიან ძაღლები, მესამე ადგილი კატებს უკავიათ. „კინომსახიობ" ცხოველთა შორის არიან საშიში მტაცებლებიც: ვეფხვები, ლომები და სხვა მხეცები. მართალია, ჩვენი პლანეტის ცხოველთა უზარმაზარი არმიის ბევრ წარმომადგენელს ჯერ კიდევ არ „უთამაშნია" კინოში, მაგრამ ეჭვი არაა, რომ მათ შორისაც აღმოჩნდებიან მომავალი „კინოვარსკვლავები".

### ბანდიტი სპილოები

ინდოეთის ერთ-ერთ შტატში, დამშეულმა სპილოებმა ძარცვას „მიჰყვეს ხელი". როგორც კი გამოჩნდებოდა პურით დატვირთული მანქანა იქ ჯუნგლე-



ბში მიმავალ გზატკეცილზე, სადაც საშინელი გვალვის გამო ცხოველები საკვებს ვერ შოულობდნენ, სპილოები წინ გადაუდგებოდნენ ხოლმე მომავალ ტრანსპორტს, აჩერებდნენ მას და იწყებდნენ პურის ჭამას. შეშინებული მძღოლი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა მახლობელ სოფელში, რომ დამალოდა ბანდიტ სპილოებს.

### მაიმუნები ყვინთავენ წყალში

წყნარი ოკეანის ერთ კუნძულზე ცხოვრობენ მაიმუნები, რომელთათვისაც ყველაზე ნუგბარი საჭმელია ხამანწკები,



ლოკოკინები და სანაპირო წყლების სხვა ბინადარნი. მათ მოსაპოვებლად მაიმუნები წყლის ფსკერამდე ჩადიან. საინტერესოა, რომ მოზრდილი მაიმუნებს, წყალქვეშა სანადირო ექსპედიციის დროს, თან მიჰყავთ თავიანთი შვილებიც, რომ პატარაობიდანვე ისწავლონ ცურვა და ყვინთვა.

### პლასტმასის ქაღალდი

იაპონიაში გამოჩნდა პლასტმასის ქაღალდის გაზეთები. მათ ფურცლებზე ჩინებულად იბეჭდება ფერადი სურათები. ამ ახალი ქაღალდის პატენტი უკვე იყიდა 20-ზე მეტმა სახელმწიფომ.



ბლაგვი მაკრატლის გალესვა სრულიად ადვილი საქმეა. ამისათვის საკმარისია აილო ზუმფარას ფურცლის ნაჭერი და იგი მაკრატლით დააქუცმაცო (ნახ. 5).



როგორ უნდა გამოსჭრა რეზინისაგან შენთვის საჭირო რგოლი ან რაიმეს შუასადები? გახსენი პარაფინი ქილაში, დაასხი იგი ფიცარზე ან ფანერზე და ზევიდან რე-



ზინი დაადე. პარაფინი გაცივდება და რეზინს მჭიდროდ დააკრავს ფიცარზე. შემდეგ გააკეთე სრულიად უბრალო სამარჯვი (იხ. ნახ. 4). როცა დააყენებ შენთვის საჭირო ზომაზე, იმოქმედე სამარჯვით, როგორც ფარგალით და თან საჭრისი მოიმარჯვე.



ახალნაყიდი სახრახნისი ხშირად ტყდება ბოლში. ეს რომ არ მოხდეს, სახრახნისის მომუშავე ბოლო გაახურე მუქი-წითელი ფერის მიღებამდე, რის შემდეგაც სწრაფად გააცივე წყალში ან ზეთში, გაწმინდე ზუმფარათი და ისევ ფრთხილად გაახურე. გაახურე მანამ, სანამ იისფერი არ გახდება, და კვლავ გააცივე. ამის მერე სახრახნისი არ გატყდება (ნახ. 3).

რატომ გუგუნებს ონკანი წყლის მძლავრი მოწოლის დროს? იმიტომ რომ, მკვეთარა მოშვებულა და ონკანის სარქველი თრთის. მკვეთარას



მოსაჭერი რკალი ახალი, მოღუნული მავთულით შეცვალე და წყლის გუგუნიც შეწყდება (ნახ. 1).

სამზარეულოში წყლის ონკანი თუ გაფუჭდა, მისი შეკეთება ასე შეიძლება: წყალგაყვანილობის მილზე მონახე საავარიო ვენტილი და დაკეტე იგი. ამის მერე ამოხრახნე ონკანის ზედა ქანჩი და მკვეთარაზე დაფენილი ტყავის შუასადები გამოცვალე (ნახ. 2).

ნედლ შეშას არასოდეს არ დაასხა ნავთი, მითუმეტეს — ბენზინი: ეს ვერც საქმეს უშველის და სახიფათოცაა. შეშას ორი პეშვი მარილი მოაყარე და ცეცხლი უმალ გაჩაღდება.

კვერცხის გულისა და ცილის ერმანეთისაგან განცალკავება ჭირს. თუ ამისათვის ძაბრს იხმარ, საქმე გაგიიოლდება. ცილა ძაბრის ყელში ჩასრიალდება, გული კი ძაბრში დარჩება.

# სარჩევი


ს. ბიჭოული — წითელ-... [illegible] ...ვი) . . გარეკ. 1
შ. ლარცულიანი — ზაპესი — 1927, ენგურჰესი — 1970 (წერილი) . 3
რ. ჯაფარიძე — ჯიმარაის ტუსაღები (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . 6
ოქროს საწმისი . 13
გ. კაჭახიძე — მშვენიერება დედის ქალაქში (ლექსი) . . . . . . 14
ჯ. ნიქაბაძე — პიონერული მატარებელი (ლექსი) . 14
ზ. ბოლქვაძე — გახსოვდეს!.. (ლექსი) . . . 15
კ. მაჩაბელი — ბერძნული ქანდაკება (წერილი) . 16
მ. კ. როულინგსი — ის არ არის ობოლი (მოთხრობა, თარგმანი ნ. ფურცელაძისა) . . . 20
ზ. ჯაფარიძე — კიდევაც დაიზრდებიან (ნარკვევი) . . . . . 23
თ. გიორგაძე — ენრიკო მეკინგი (წერილი) . 25
გ. პაპუაშვილი — ცეცხლი (მოთხრობა) . . 27
თავშესაქცევი . . 30
ახალი წიგნები . 31
ჯადოსნური სარკე 31
გამოგადგება . . 32
მშვენიერების სამყაროში . გარეკ. 3



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ზურაბ მეძმარიაშვილს

მთავარი რედაქტორი ბაბულია შილია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები:
რედაქტორის—3-17-76
პასუხ. მდივნისა და განყოფილებების—5-07-43

„ПИОНЕРИ". На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა „ნაკადული". უე 11607 ტირ. 58.100. ქაღ. ფორ. ზომ. $4^1/_{2}$, ფიზ. ფორ. ზომ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 16-VIII-67 წ. სტამბის შეკვ. 3174. გამომც. შეკვ. 125. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფიდიესი. ათენა პართენონი



ლისიპე. ალექსანდრე მაკედონელის თავი






ლისიპე. აპოქსიომენი

კორა.





მირონი. ბადროს მტყორცნელი

გოგონავ! ბიჭო!

იჩქარე!



ეროვნული ბიბლიოთეკა

დროზე გამოიწერე ჟურნალი

# პიონერი 1968 წლისათვის

სასურველია ჟურნალი გამოიწეროთ მთელი წლით.

გამოდის 12 ნომერი.
თორმეტი ნომრის ღირებულება 2 მანეთი და 40 კაპიკი.